გაზეთი ბევრის, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№132 (888) 13 – 15 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ექსკლუზიური ინტერვიუ



გვ. 3

რატომ არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევრომაიდანზე საქართველოს ბედიც წყდება, აპირებდა თუ არა თანამოაზრეებთან ერთად ნაცმოძრაობიდან განდგომას, როგორ ხსნის ერთკაციანი პარტიების ფენომენსა და როგორ აფასებს ინტელიგენციის კმაყოფილება-უკმაყოფილებას? „ვერსია" ნიკა რურუას ესაუბრა.

„პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა ეკლესიასაც ბევრ შეცდომას დააშვებინებს და სახელმწიფოსაც აზარალებს!"

## თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში უსახლკაროთა თავშესაფრები იხსნება



გვ. 9

ბრძოლა, რომელსაც ყოველთვის აქვს აზრი

## შარანგიებს „ოცნებაშიც" მფარველობენ? — ვინ შეაჩერა გამოძიება და რას ითხოვს მამია სანადირაძე ხელისუფლებისგან



გვ. 7

## „მალე ქართველები ივანიშვილის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მსხვერპლნი გავხდებით"

რატომ მოუწოდებს არასაპარლამენტო პარტიებს თავიანთი „პარტიუკების" დაშლისკენ **შალვა ნათელაშვილი**



გვ. 5

## „შეასრულე დანაპირები!" — რა მიზნით ატარებს ნანა კაკაბაძე აქციას 15 დეკემბერს

უფლებადამცველი ბრალდებებს პასუხობს და ოპონენტებს მტკიცებულებების წარმოდგენას სთხოვს



გვ. 4

## საქართველოს ბანკი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში 2,3 მილიონ ლარს გამოყოფს

საქართველოს ბანკი

BANK OF GEORGIA

ახალი ინიციატივა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, დამწყები ბიზნესმენებისა და სტუდენტებისთვის

გვ. 2

## გადამამუშავებელი საწარმოები მოყინულ ციტრუსსაც ჩაიბარებენ!



რა პრობლემები შეექმნათ ფერმერებს და როგორ დაეხმარება ცენტრალური ხელისუფლება აჭარელებს?

გვ. 8

## „უნიქარდი" „ვისოლსა" და სხვა პარტნიორებთან ერთად მოგების სამ შანსს გაძლევთ

ვისოლი

უნივერსალური გათამაშება — მოიგე მანქანა, ბინა, ტური ბარსელონაში ან 10 000-ლან ერთი პრიზი

გვ. 6



## ირაკლი ღარიბაშვილი ქართულ-ებრაული მეგობრობის იუბილეს საორგანიზაციო კომისიის თანათავმჯდომარედ აირჩიეს

მთავრობის კანცელარიაში გამართულ ქართულ-ებრაული მეგობრობის 26-საუკუნოვანი იუბილეს საორგანიზაციო კომისიის მორიგ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კომისიის თანათავმჯდომარედ აირჩიეს, ბიძინა ივანიშვილი კი, კომისიის საპატიო წევრად რჩება.

კომისიის წევრებმა 2014 წელს დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებებზე იმსჯელეს. სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების გარდა, საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია ებრაელთა ისტორიის ეროვნული მუზეუმის გახსნა, ასევე გაიმართება საქართველო-ისრაელის ბიზნესფორუმი. ღონისძიებების მომზადების სამუშაოებში საგარეო საქმეთა, კულტურის, სპორტისა და დიასპორის სამინისტროებია ჩართული.

კომისიის თავმჯდომარე ჯამლეტ ხუხაშვილმა, ბიძინა ივანიშვილს ისრაელში ვიზიტის აღსანიშნავად შექმნილი სპეციალური ფოტოალბომი გადასცა.

***„პირველი“***



## შსს-მ ნარკოდანაშაულისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1975 წელს დაბადებული გიორგი გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და სამუშაო ოთახის ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, ხოლო საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 0,149021 გრ ბუპრენორფინი და „ბრაუნინგის“ მოდელის პისტოლეტი 1 მჭიდით და 5 საბრძოლო ვაზნით.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მიმდინარეობს.

***„ვერსიანიუსი“***

# საქართველოს ბანკი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში 2,3 მილიონ ლარს გამოყოფს




## ახალი ინიციატივა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, დამწყები ბიზნესმენებისა და სტუდენტებისთვის

2014 წელი, „საქართველოს ბანკმა“ სოციალური პროგრამების დაფინანსებისა და ქველმოქმედების წლად გამოაცხადა. ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა, სათავო ოფისში ჩატარებულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს აცნობა, რომ გაისად ქვეყნის წამყვანი ბანკი, სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით, 2,3 მილიონ ლარს გადარიცხავს „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდში“. აქედან, ერთი მილიონი ლარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვებს, 150 000 ლარი გარემოს დაცვას, ერთი მილიონი ლარი კი საგანმანათლებლო პროგრამებს მოხმარდება. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის თქმით, ქველმოქმედება და სოციალური პროექტების დაფინანსება ბანკის პრიორიტეტია.

**„შშმ ბავშვების მხარდასაჭერად, „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ 2014 წელს საგრანტო კონკურსებს გამოაცხადებს. ამ მიმართულებით, გრანტის სახით, 1 მლნ ლარი გამოიყოფა. ეს „საქართველოს ბანკის“ მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ნაბიჯია. გამოვაცხადებთ კონკურსს სხვადასხვა პროექტებზე. მოვუწოდებ შშმ ბავშვების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, გააქტიურდნენ და შემოიტანონ პროექტები. ბანკი მცირე პროექტებსაც განიხილავს. გრანტის მიღება საინიციატივო ჯგუფებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებსაც შეეძლებათ. გრანტის სახით გამოყოფილი თანხები მოხმარდება ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და ინტეგრაციაზე მიმართულ პროექტებს“.**

პარალელურად, მოხდება „საქართველოს ბანკის“ სერვისცენტრების ადაპტაცია შშმ პირებისთვის. საწყის ეტაპზე ბანკის თბილისის 14 საკვანძო სერვისცენტრი აღიჭურვება პანდუსებითა და ელექტროკარით, რისთვისაც ბანკი დამატებით გამოყოფს 180 000 ლარს. მომავალში კი, შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება საქართველოს მასშტაბით 100-მდე სერვისცენტრი.

პრესკონფერენციას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათი თქმით, ძალიან კარგია, რომ „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ ყურადღებას იჩენენ. „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პოლიტიკურ მიმართულებათა პროგრამების მენეჯერი რატი იონათამიშვილი აღფრთოვანებულია, რომ „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში ადაპტირებული გარემოა შექმნილი. მან ირაკლი გილაურს მადლობა გადაუხადა იმის გამო, რომ ბანკმა „უპრეცედენტო პასუხისმგებლობა გამოავლინა შშმ ბავშვების და დიდების მიმართ“. ამ ფონზე, რატი იონათამიშვილი დარწმუნებულია, რომ მომავალი წელი, შშმ პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გარდამტეხი იქნება.

„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“ განათლების მიმართულებითაც რამდენიმე მნიშვნელოვან პროგრამას განახორციელებს, მათ შორისაა: მომხმარებელთა ფინანსური განათლების ცენტრის დაარსება, ბიზნესინკუბატორის შექმნა და სტიპენდიების გაცემა.

**ირაკლი გილაური: „ბანკისთვის სასურველია, რაც შეიძლება მეტად გათვითცნობიერებული მომხმარებელი ჰყავდეს. ამ მხრივ, გადავწყვიტეთ, შევქმნათ მომხმარებელთა ფინანსური განათლების ცენტრი — „საქართველოს ბანკის“ მომხმარებლები (ფიზიკური და იურიდიული პირები), სრულიად უსასყიდლოდ გაივლიან სპეციალურ კურსს ფინანსების მართვის საფუძვლებში. კურსის მოსმენის შედეგად, ისინი შეძლებენ საკუთარი ფინანსური რისკების მინიმიზაციას და საფინანსო დაწესებულებასთან გრძელვადიანი, მომგებიანი ურთიერთობის აგებას. წლის განმავლობაში კურსს გაივლის 1000 მომხმარებელი“.**

ბიზნესინკუბატორის შექმნა კი იდეებით აღსავსე და მოტივირებულ პიროვნებებს დააინტერესებს. „საქართველოს ბანკის“ მიზანია, ამგვარ პირებს მისცეს შესაძლებლობა დაიწყონ და განავითარონ საკუთარი ბიზნესი. პროგრამის მონაწილეები კონსულტაციას მიიღებენ, შეძლებენ, დაამყარონ კონტაქტი ბიზნესწრეებთან, იმუშაონ ბიზნესგეგმების შექმნაზე. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ საუკეთესო იდეების ავტორებს, გრანტებით დაფინანსდებიან, რაც დამწყები ბიზნესმენისთვის, უდავოდ, დიდი შეღავათია.

„საქართველოს ბანკის“ მიერ გამოყოფილი 2,3 მილიონი ლარიდან თანხები სტუდენტებისთვისაც დაიხარჯება, ისინი „საქართველოს ბანკის“ სახელობის სტიპენდიებსა და გრანტებს მიიღებენ. ირაკლი გილაურის განმარტებით, ბანკის მიზანია ახალგაზრდებს სახელმძღვანელოების შეძენაში, სწავლისთვის საჭირო ყოველდღიური თანხების დაფარვაში დაეხმარონ.

გარემოს დაცვა კი უკვე რამდენიმე წელია „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბანკი ტრადიციას ამჯერადაც არ ღალატობს — „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდიდან“ 150 000 ლარი მოხმარდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მხარდაჭერას, რასაც ბანკი უკვე 4 წელია უწყვეტად ახორციელებს.

„საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“, 2008 წელს დაარსდა. ფონდის პრიორიტეტების გადახედვა პერიოდულად ხდება, რათა მოიცვას საზოგადოების ყველაზე აქტუალური სოციალური თემები.

***ნინო ლურსმანაშვილი***



## ლარის კურსი წინასაახალწლოდ გამყარდება

ეკონომიკის საკითხებში ექსპერტის, ემზარ ჯგერენაიას თქმით, ეროვნული ვალუტის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების მომატებული ხარჯვაა: **„მთელი წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს გადასახადებიდან უფრო მეტი თანხები ამოჰქონდა, ვიდრე ხარჯავდა. ეს ტრენდი შეიცვალა და ფინანსთა სამინისტრომ ფულის ხარჯვა დაიწყო, მათ შორის, კაპიტალურ ხარჯებშიც და უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან შემოსავალს იღებს. ეს არის ლარის გაუფასურების ძირითადი მიზეზი და გამოწვეულია იმით, რომ მიმოქცევაში უფრო მეტი ლარი გამოვიდა. ამასთან, 2013 წელს 1 მილიარდი ლარით გაიზარდა ბანკის კრედიტების მოცულობა, აქტივებმა 9 მილიარდ ლარს მიაღწია, მიმოქცევაში მეტი ლარი გამოვიდა და ამან ლარის კურსის დაცემა გამოიწვია. შემდეგი მიზეზი ისაა, რომ მსოფლიოში ტრენდი დოლარის კურის გამყარებაზეა მიმართული. ჩვენთან იმპორტული საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, სეზონურობა მოქმედებს. ამ სეზონურობამ გაზარდა მოთხოვნა დოლარზე“.**

ექსპერტის ვარაუდით, 21, 22 დეკემბრისთვის ლარის კურსი უფრო გამყარდება.

ამ დროისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 1 აშშ დოლარი 1.7122 ლარი ღირს.

***„პირველი“***



## პუტინი მზადაა, უკრაინის საბაჟო კავშირთან მიერთებაზე მოლაპარაკებები ექსპერტების დონეზე გამართოს

უკრაინული სააგენტო UNIAN-ის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის ფედერალურ საბჭოში ყოველწლიური მიმართვისას განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, უკრაინასა და საბაჟო კავშირს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ექსპერტების დონეზე აწარმოოს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ინტეგრაციის ეს პროექტი დაფუძნებულია თანაბარ უფლებებსა და რეალურ ეკონომიკურ ინტერესებზე: **„იმედი მაქვს, რომ უკრაინელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, ყველა პოლიტიკური ძალა შეძლებს შეთანხმებას და წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას. უკრაინამ არაერთხელ განაცხადა, რომ საბაჟო კავშირის ცალკეულ შეთანხმებებთან მიერთებითაა დაინტერესებული“.**

***„პირველი“***



# ნიკა რურუა: „პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა ეკლესიასაც ბევრ შეცდომას დააშვებინებს და სახელმწიფოსაც აზარალებს!“

რეზო შატაკიშვილი

**რატომ არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ევრომაიდანზე საქართველოს ბედიც წყდება, აპირებდა თუ არა თანამოაზრეებთან ერთად ნაცმოძრაობიდან განდგომას, როგორ ხსნის ერთკაციანი პარტიების ფენომენსა და როგორ აფასებს ინტელიგენციისკმაყოფილება-უკმაყოფილებას? — ამ და სხვა საკითხებზე „ვერსია“ ნიკა რურუას ესაუბრა.**

**— ევრომაიდანზე განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, გაჩნდა პარალელები 7 ნოემბერთან, 26 მაისთან... დარბევის გარდა, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან ამ ორი თარიღის კავშირს ვერ ვხედავ, პირიქით, მოთხოვნებიც რადიკალურად განსხვავებულია და პროცესიც, თქვენ?**

— ეს პარალელები ჩემთვისაც სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. როგორც ჩანს, ის ხალხი, რომელიც 26 მაისის გამოსვლებს ანდა 7 ნოემბერს საკუთარ „გმირობად“ ითვლის, ახლა ცდილობს, ევრომაიდანზე გამოსულ უკრაინელებთან ასოცირდეს. კიევში ევროპასთან დაახლოების მიზნით გამოვიდა ასობით ათასი ადამიანი, საქართველოში ასობით ათასი ადამიანის ნაწილი გააღიზიანა საკმაოდ ხისტმა და მტკივნეულმა რეფორმებმა, რაღაც ნაწილი — მთავრობის არაკომუნიკაბელურობამ, ნაწილს კი მღვრიე წყალში თევზის დაჭერა უნდოდა. როგორც შემდეგ პატარკაციშვილის ჩანაწერებიდან გაირკვა, ის აპირებდა სახელმწიფოს გადატრიალებას — მინისტრის „დაძინებას“, გაყალბებული ბიულეტენების დაბეჭდვას, დამხობას ვითომ ლეგიტიმური საფუძველი რომ ჰქონოდა. ეს იყო ერთ-ერთი რუსი ოლიგარქის, თუმცა ეთნიკურად ქართველი პატარკაციშვილის სპექტაკლი, რომელიც ძალზე უსიამოვნო სურათით დამთავრდა. 26 მაისი კი პუტინთან მიღებაზე ნამყოფი ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკოსის თვითშემოქმედება იყო, რომელიც სახელმწიფოს პროვოცირებას ცდილობდა. სამწუხაროდ, ეს პროვოკაცია მართლაც მოხდა, ასე რომ, ევრომაიდანთან არც ერთსა და არც მეორეს კავშირი არ აქვს.

რაც შეეხება ევრომაიდანს, ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანი ბრძოლაა უკრაინისთვის იმიტომ, რომ იგი გეოგრაფიულადაც ევროპის შუაგულშია და რიცხობრივადაც იმხელა ქვეყანაა, მისი არჩევანი მნიშვნელოვანია ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის, თუმცა წინააღმდეგი ვარ, ავტომატურად მივებათ უკრაინას და ვთქვათ, რომ თუ იქ რამე არ გამოვიდა, აქაც არ გამოვა. ეს ასე არაა, ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა და ეს გზა უნდა გავაგრძელოთ.

**—ანუ არ ეთანხმებით იმ შეფასებას, რომ დღეს კიევში წყდება ქვეყნის ბედი?**

— უკრაინის ბედი ნამდვილად წყდება. ბუნებრივია, საქართველოს ინტერესშიცაა, უკრაინაში რუსეთის ნეოიმპერიალისტური ძალები დამარცხდნენ. გარკვეულწილად, ისინი ჩვენს ბრძოლასაც იბრძვიან, მაგრამ ის, რომ ჩვენი ბედი წყდება კიევში, ჰიპერბოლაა. ჩვენი ბედი წყდება საქართველოში, სკოლებში, სახლებში, უნივერსიტეტებში, ქუჩებში, ჩვენს ბიზნესში და, რაც მთავარია, ჩვენი მთავრობის დერეფნებსა და კაბინეტებში.

**— კარგი იქნებოდა, ასე იყოს... თუ კიევში ხალხმა დაამხო ხელისუფლება ევროპული ღირებულებების ღალატის გამო, ჩვენს ხელისუფლებას არ გაუჩნდება შიში, რომ ღალატის შემთხვევაში, აქაც იგივე მოხდება? პრეცედენტს დიდი ძალა აქვს და სწორედ ამიტომაც ხომ არაა გარინდული საქართველოს ხელისუფლება, თუ არ ვცდები, მხოლოდ თინა ხიდაშელმა დაწერა, რომ მისი სული და გული ევრომაიდანზეა. ოფიციალური თბილისი დამუნჯებულია.**

— ასე არაა, ვერ დაგეთანხმებით, რაც უნდა მოხდეს უკრაინაში, ჩვენი ხელისუფლება მაგას ვერც ასე გაბედავს, ვერც ისე. ქართველი ხალხის უმრავლესობა თავისუფლებაზეა ორიენტირებული და ევროინტეგრაციას უჭერს მხარს. იმისგან დამოუკიდებლად, როგორ დამთავრდება უკრაინული კრიზისი, საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაბედავს ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას და ორიენტაციის შემოტრიალებას პუტინის რუსეთის მონობის მიმართულებით — ეს გამორიცხულია! მინდა მჯეროდეს, რომ ეს არ აქვთ მიზნად ჩვენს ხელისუფალთ და რომც ჰქონდეთ, ვერ გააკეთებენ, ამას არ შეეგუება არც დიდი, არც პატარა. რაც შეეხება ამ ეტაპზე მათ სიჩუმეს, ანგარიშს უწევენ ოფიციალურ კიევს, მოკლედ, პოლიტკორექტულობას იჩენენ. ჩემი გემოვნებისთვის ეს ზედმეტად გაჩუმებაა, ფრთხილ, მაგრამ დემოკრატიის, უკრაინელი ხალხის მხარდამჭერ განცხადებას გავაკეთებდი, სადაც ევროპის უდიდესი ქვეყნების ლიდერები ღიად უჭერენ მხარს, სადაც გვიდო ვესტერველე ევრომაიდანზე მივიდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კიევში ვიზიტი გააუქმა, ჩვენებსაც შეეძლოთ გამოეხატათ მხარდაჭერა, მაგრამ ისინი ცდილობენ, პოლიტკორექტულობა შეინარჩუნონ, თუმცა ჩემი აზრით, ზედმეტად.

**— ამბობთ, რომ ხელისუფლება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლებს ქვეყნის ორიენტაციის შეცვლას, მაგრამ თქვენი სტატუსები სოციალურ ქსელში ყველაზე მწვავე სწორედ ამ მიმართულებითაა.**

— ეს ბუნებრივია, ყველანი, უნდა ვიყოთ ფხიზლად, ვაკონტროლოთ ხელისუფალთა მოტივაციები იმიტომ, რომ ადამიანი, მით უფრო ხელისუფლებაში მყოფი, ვერ უძლებს ცდუნებას, იჩენს სულმოკლეობას. მათი გარედან კონტროლი აუცილებელია, რაც ოპოზიციის საქმეა. ჩვენი პირდაპირი ვალდებულებაა, ვაჩვენოთ სწორი გზა პოლიტიკურ ოპონენტებს. მათი შეცდომები წესით უნდა გვაწყობდეს, მაგრამ როდესაც ეს ქვეყნის ბედს ეხება, ყველა ერთად უნდა ვიდგეთ... არ შეიძლება ხელის მოთბობა ქვეყნისთვის კატასტროფულ შეცდომებზე.

**— ბოლო დროს, ბევრს საუბრობენ ნაციონალური მოძრაობის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, თქვენი ინტერვიუც გამოქვეყნდა, სადაც ღიად საუბრობთ, რომ პარტიაში გადაწყვეტილებას ერთი გუნდი იღებდა და აუცილებელია ამ წესის შეცვლა დემოკრატიული მმართველობის ფორმით.**

— ეს უკვე მოხდა, პოლიტსაბჭოს არჩევნები ჩატარებულია და ამ შედეგით კმაყოფილი ვარ, ესაა შიდადემოკრატიისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი. ნაციონალური მოძრაობა მალე მოხვდა ხელისუფლებაში, სადაც პარტიას არ აქვს ნამდვილ პარტიად ჩამოყალიბების დრო და საშუალება. სწორედ ახლაა ის მომენტი, როდესაც ეს ორგანიზაცია უნდა გადაიქცეს ნამდვილ, დასავლური ტიპის პარტიად.

**— როდესაც პარტია ხელისუფლებაშია, შეიძლება არ გეთანხმებოდე, მაგრამ გამოგყვე ყველა გადაწყვეტილებაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ყოფნა კომფორტულია, მაგრამ როდესაც იგი ოპოზიციური ხდება და, სხვებთან ერთად, მეც მიწევს ბრძოლა, პოზიციის შუბლით გატანა, მაშინ კეთილი უნდა ინებონ და მეც მიმაღებინონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში...**

— ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა, პარტიაში ყოველთვის არის შიდადებატები, შიდაარჩევნებიც, ყოველდღიური პარტიული საქმიანობაც უკეთესია კამათის, დებატის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის რეჟიმში. ერთი ადამიანი უფრო მეტად და ხშირად ცდება, ვიდრე ბევრი.

**— თუმცა ნაცმოძრაობის შემთხვევაში, არც იყო და არც თქვენ გქონდათ საუბარი ერთ პირზე, საუბარი იყო რამდენიმე პირზე...**

— ამ დიალოგში შეგნებულად არ შემოვალ, არ მაინტერესებს... მაინტერესებს მანკიერი სისტემის გამოცვლა და არა ვინმეს დამცირება, ან ვინმეზე იერიშის მიტანა; ვლაპარაკობ პრინციპის გაუმჯობესებაზე, ჩემს მიერ შეთავაზებული პრინციპი ბევრად უკეთესია იმაზე, რაც იყო, რადგან იმან ბევრი შეცდომა გამოიწვია.

**— არც იმას გამორიცხავენ, რომ პარტიას, შესაძლოა, გამოყოფოდნენ ახალგაზრდები და ჩამოყალიბებულიყო ახალი პოლიტიკური ძალა, მათ ერთ-ერთ სავარაუდო ლიდერად თქვენც გასახელებდნენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ პარტიის შიგნით პროცესები ისე არ წავიდოდა, როგორც წავიდა?**

— როგორც ჩანს, მაინც რაღაც ინტრიგას ეძებ.... საერთოდ არ ვარ პარტიის წევრი და არც ვარ ჩახედული მის საქმეებში. ყველანი ჩემი მეგობრები არიან და ეს იყო ჩემი მეგობრული რჩევა. გამოყოფას, გადაყოფასა და წასვლას რაც შეეხება — ვინც წამსვლელი იყო, ზეწოლას ვინც ვერ გაუძლო, წავიდა დიდი ხნის წინ, ასე რომ, არავინ არსად წასვლას არ აპირებს, ყველა ერთად ვაპირებთ, უკეთესი ქვეყნის მშენებლობას.

**— ერთკაციან პარტიებზე მინდა გკითხოთ, საქართველოში რომ უხვადაა. შედეგს ვერც ერთ არჩევნებზე ვერ აღწევენ და მაინც აგრძელებენ ფუნქციონირებას, დავიჯერო, იმ დაფინანსების გამო წვალობენ, რომელსაც ბიუჯეტიდან იღებენ, დიდი ფული იშოვება პოლიტიკაში ამ სოლოფორმით თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე?**

— მეც თქვენსავით მეცინება ამ ერთკაციან პარტიებზე და თვითდანიშნულ ლიდერებზე. თუ რაიმე საინტერესო აქვთ, სხვები რატომ არ მიდიან? საქმეც ეგაა, უჭირთ კომუნიკაცია. საერთოდ, ქართველებს გვიჭირს კომუნიკაცია, ტარზანივით ვართ — კუნთები გვაქვს და ლაპარაკი არ ვიცით. დააკვირდით, თითქმის ყველა ლაპარაკი ჩხუბით მთავრდება. უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება, რაღაც კონსენსუსამდე მისვლა, კომპრომისის გამონახვა. სანამ კომპრომისი საგინებელი სიტყვა იქნება საქართველოში, პოლიტიკურ ცხოვრებაში საინტერესოს ვერაფერს ვნახავთ. შენი ინტერესები უნდა დაიცვა, მაგრამ უნდა გაითვალისწინო მოწინააღმდეგის ინტერესებიც. ყველაფერი ან არაფერი — პოლიტიკაში არ ამართლებს, ეს მარტო მაშინ ხდება, როდესაც მტერი მოდის და ღიად გებრძვის, არ შეიძლება შიდაოპონენტს ისეთივე სისასტიკით ებრძოლო, როგორც მტერს.

**— ანუ ფიქრობთ, ესენი კოლეგებთან საერთო ენის გამონახვას, ურთიერთობას ვერ ახერხებენ, ამიტომ გარბიან, ქმნიან სოლოპარტიებს და მათ ირგვლივ იკრიბება რაღაც პატარა პარტაქტივი.**

— კი, კი და როგორც წესი, ასეთი პარტიები წარმოადგენენ მყვირალა ტიპაჟებისგან შემდგარ ერთმუჭა ჯგუფს და სრულ პოპულიზმზე არიან ორიენტირებულნი.

**— ძირითადად, ასეთი პარტიებისგან იყო დაკომპლექტებული, თავის დროზე, თქვენი ოპოზიცია...**

— და ახლანდელი „ოცნებაც“.

**— გყავდათ სუსტი ოპოზიცია, არავინ გიწევდათ რეალურ ოპონირებას და ამანაც მიგიყვანათ არჩევნებში მარცხამდე.**

— გეთანხმებით, მაგრამ ეგ ერთ-ერთი მიზეზია. ჩემი აზრით, ეს მარცხი მოიტანა რამდენიმე ფაქტორმა – ცვლილების სურვილმა, ძალიან მტკივნეულმა და ეგზისტენციურმა პრობლემებმა, ელექტორატის ნაწილმა, უბრალოდ, თავი მოიტყუა და ჩათვალა, თვალს თუ დახუჭავდა, მტერი მტერი აღარ იქნებოდა. „ქართული ოცნების“ რიტორიკა იყო, რომ უნდა დავუახლოვდეთ რუსეთს, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა სააკაშვილის ბრალია, გაიმარჯვეს და რა მოხდა? რამდენჯერ მიაყენეს მათ შეურაცხყოფა მავთულხლართებით, ადამიანის გატაცებით? რუსეთს პარტნიორად არასოდეს განუხილავს საქართველო, არც მაშინ და არც ახლა, მას უნდა ვასალი, რაზეც ქართველი ხალხი არასოდეს დათანხმდება, რაც უნდა იფიქროს ზოგიერთმა პოლიტიკოსმა.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

## პროკურატურა საკადრო გადაადგილებებს ადასტურებს



საქართველოს მთავარი პროკურატურის ცნობით, მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი პროკურატურის ხელმძღვანელ პირებს შეხვდა და მათ შორის ღია საუბარი გაიმართა, რომელზეც სამომავლო ხედვა, გეგმები და შესაძლო საკადრო გადაადგილებები განიხილეს. ნაწილ თანამშრომელთა მიმართ განხორციელდა საკადრო როტაცია, ხოლო ხელმძღვანელი პირების ნაწილმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ: **„რაც შეეხება ბრალდებას არჩილ კბილაშვილის მთავარი პროკურორად საქმიანობის პერიოდში დანიშნული პროკურორების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ამჟამად სისტემაში საქმიანობას აგრძელებს 179 პროკურორი და გამომძიებელი, რომელიც თანამდებობაზე 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ დაინიშნა“.**

მთავარმა პროკურატურამ განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებმა გაავრცელეს განცხადება, თითქოს პროკურატურაში თანამშრომლებს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებებს იძულებით აწერინებენ და ძირითადად, ზეწოლა არჩილ კბილაშვილის დროს დანიშნულ კადრებზე ხდება.

*„პირველი“*

## მიხეილ სააკაშვილმა გენერალ დევიდ პეტრეუსს გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა



ავღანეთისა (ISAF) და ერაყის ოპერაციებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური შტაბის ყოფილი მეთაურის, ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელის დაჯილდოების შესახებ განკარგულებას პრეზიდენტ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო დღეს მოეწერა ხელი.

მიხეილ სააკაშვილმა დევიდ პეტრეუსს საქართველოს უმაღლესი საბრძოლო ჯილდო — გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი საქართველოს ჯარის მშენებლობისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადასცა.

ამასთან, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და დევიდ პეტრეუსმა ხანგრძლივი შეხვედრა გამართეს.

*„პირველი“*

პროტესტი

# „შეასრულე დანაპირები!“ — რა მიზნით ატარებს ნანა კაკაბაძე აქციას 15 დეკემბერს



## უფლებადამცველი ბრალდებებს პასუხობს და ოპონენტებს მტკიცებულებების წარმოდგენას სთხოვს

რუსუდან შელია
557-100-768

**15 დეკემბერს, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზებით, გამაფრთხილებელი აქცია გაიმართება. ორგანიზატორების განცხადებით, აქციის მიზანი ხელისუფლებისთვის ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობის შეხსენებაა. რა კავშირი აქვს ციხეებში პატიმრების შიმშილობასთან და მოუწოდებს თუ არა მსჯავრდებულების მშობლებს, პროტესტი უკიდურესი ფორმით გამოხატონ? — უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე მისი მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს.**

— 15 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი აქციით, ხელისუფლებას დაპირების შესრულებაში ვეხმარებით. მმართველ გუნდს დიდი ხანია სამართლიანობის აღდგენის ჩვეული ხედვა გავაცანით. იმ სახელმწიფოების პრეცედენტებიც შევახსენეთ, სადაც ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარება მხოლოდ რეჟიმის გასამართლების შემდეგ დაიწყო. პარლამენტში ათი ათასობით ადამიანის ხელმოწერაც ჩავიტანეთ, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის დამნაშავე წარმომადგენლების გასამართლებას ითხოვენ. კოალიცია დაგვპირდა, რომ პარლამენტში ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნებოდა, რომელიც ყველა უკანონო საქმეებს გადახედავდა და ბიზნესწართმეული თუ ღირსებაშელახული ადამიანის უფლებების აღდგენასაც მოახერხებდა. ახლა განაცხადეს, ბიუჯეტში ფული არ არის, ამიტომ აღნიშნული კომისიაც ვერ შეიქმნებაო. ეს განცხადება დაპირების შესრულების უარყოფას ნიშნავს. ჩანს, ხელისუფლებას კოჰაბიტაციის რეჟიმიდან გამოსვლა სულაც არ ეჩქარება.

**— მმართველი გუნდი, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილი მართულ ძალად მოგიაზრებდათ, რადგან მათი თქმით, რეალურად, საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენისა და ნაციონალების გასამართლების მოთხოვნა აღარ აქვს.**

— ვინც ამას ამბობს, ისიც დააკონკრეტოს, რომელი ძალა მმართავს! ენას ძვალი არ აქვს, ჩემს წინააღმდეგ ლეგენდებს თხზავენ, ფიქრობენ, ამით პროცესის დისკრედიტაციას მოახერხებენ — თითქოს საზოგადოება კი არა, სამართლიანობის აღდგენას ბნელი ძალები ითხოვენ, მაგრამ საზოგადოება მსგავს სისულელეებს აღარ წამოეგება. მესმის, ხელისუფლებისთვის რთულია ბნელ და ფინანსურად უზრუნველყოფილ ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირება, თუმცა უნდა გაიაზროს, რომ ქვეყნის ბედი საქართველოში ქართველი ხალხის მიერ წყდება და არა დასავლეთში. 15 დეკემბრის აქცია ამ მიზანს ემსახურება.

**— მსგავსი მოთხოვნით სპორტის სასახლეში შეხვედრა ერთხელ უკვე გამართეთ. ქუჩაში იმიტომ გადაინაცვლეთ, მასშტაბური აქციის გამართვის მოლოდინი გაქვთ?**

— არ ვმართავთ ისეთი მასშტაბის აქციას, ხელისუფლებამ საშიშროება იგრძნოს. ეს იქნება გამაფრთხილებელი აქცია, სადაც მმართველ გუნდს ხმამაღლა ვეტყვით — შეასრულე შენი დანაპირები! არჩევნებში ხმა დახნული მიწებისა და ვაუჩერებისთვის არ მიგვიცია — ჩვენი მიზანი სამართლიანობის აღდგენა იყო.

**— ციხეებში პატიმრების შიმშილობის დაწყება თქვენს აქციას უკავშირდება? მეტიც, მსჯავრდებულები შიმშილობისკენ თურმე თქვენ წააქეზეთ.**

— ჩემგან წაქეზება რაში სჭირდება პატიმარს, რომელსაც ეუბნებიან, დაგპირდით, მაგრამ თქვენი საქმე აღარ გადაიხედებაო?! პატიმრები თავად მთხოვენ, დაგვეხმარეო; შიმშილობაც საკუთარი ინიციატივით დაიწყეს, რადგან ხელისუფლების პასუხი — სანამ ბიუჯეტი შესაბამის ნიშნულს არ მიაღწევს, კარგად ბრძანდებოდეთო, მათთვის მიუღებელია.

**— ანუ ადასტურებთ, რომ მოშიმშილე პატიმრებთან კავშირი გაქვთ. მართალია, რომ თქვენი ინიციატივით, მათი მშობლები 15 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე შიმშილობას დაიწყებენ?**

— რა თქმა უნდა, პატიმრებისგან ინფორმაცია გვაქვს... მიკავშირდებიან და მეუბნებიან, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნას ვუერთდებითო. არ მესმის, როგორ უნდა მოუწოდო შიმშილობისკენ მძიმედ დაავადებულ პატიმარს — მოშიმშილეთა ნაწილს ტუბერკულოზი აქვს და მათი შიმშილობის უკან, ფაქტობრივად, სიკვდილია, ასე რომ, საკუთარ თავზე ვერ ავიღებ მსგავს პასუხისმგებლობას. ეს მათი ტკივილის გამოხატვის ფორმაა. მათი მშობლებიც აქტიურად გვირეკავენ, აქციას უერთდებიან, რადგან შვილების გადარჩენა სურთ. მათ პროკურატურაში, კანცელარიაში... უამრავი განცხადება დაწერეს, თუმცა უშედეგოდ, ამიტომ ქუჩაში გამოსვლის გარდა, აღარაფერი დარჩენიათ. ავუხსენი, რომ ამ ქმედებით საპატიმროებში მყოფ ოჯახის წევრებს შიმშილობის გაგრძელებისკენ უბიძგებენ — პატიმარი, რომელმაც იცის, რომ დედა შიმშილობს, პროტესტს არ შეწყვეტს. ჩვენ კი, მათი გადარჩენა გვინდა და არა შიმშილით დახოცვა. ამ ფონზე, პატიმრების მშობლებმა შიმშილობისგან თავი შეიკავეს.

**— მედიაში მოშიმშილე მსჯავრდებულთა საქმეები გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ ისინი საკმაოდ მძიმე დანაშაულებისთვის იხდიან სასჯელს.**

— ინფორმაცია, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა, საიდუმლოა და სასჯელაღსრულების ანალიტიკურ დეპარტამენტში ინახება. სოზარ სუბარის უწყებამ უნდა გამოიკვლიოს, როგორ აღმოჩნდა საიდუმლო დოკუმენტაცია ერთ-ერთი რიგითი ჟურნალისტის ხელში; თანაც ერთ-ერთ გაზეთში კარტოთეკები პატიმრების ფოტოებით დაიბეჭდა, რომლის გასაჯაროების უფლება არავის აქვს. იგივე მასალა, ოღონდ პატიმრების ფოტოების გარეშე, კიდევ ერთ ბეჭდვურ გამოცემაში გამოჩნდა, რაც შემთხვევითი ალბათ არაა. მოშიმშილე პატიმრები სამართლიანი სასამართლოს ჩატარებასა და ადეკვატურ სასჯელს ითხოვენ. პარლამენტმა ქვეყანაში 190 პოლიტპატიმრის არსებობა აღიარა, რაც ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების პირობებში სამართლიანი სასამართლო არ არსებობდა, ამიტომ ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ყველა მსჯავრდებული სასტიკი დამნაშავეა, გაუმართლებელია. პატიმრები, რომელთა ფოტოებიც გამოქვეყნდა, კონკრეტული გაზეთისა და ჟურნალისტის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივრის შეტანას გეგმავენ. დარწმუნებული ვარ, აღნიშნულ გაზეთს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოუწევს.

**— თქვენი ქონებრივი დეკლარაციაც საზოგადოებაში განხილვის საგანი გახდა, რადგან შთამბეჭდავი უძრავი ქონება გქონიათ.**

— რა ქონებრივ დეკლარაციაზე მედავებიან, ბაბუაჩემის სახლსა და ჩემი გარდაცვლილი მეუღლის მიერ დატოვებულ ქონებაზე? თანაც ამაზე ქურდები და ბანდიტები საუბრობენ. არსებობს საჯარო რეესტრი, სადაც თითოეულ ადამიანს შეუძლია შემოწმება — ფაქტია, ჩემს წინააღმდეგ ნეგატიური მუხტის შექმნა გრძელდება, თუმცა შეჩვეული ვარ — ხელისუფლება არ გამომივლია, რომელიც ჩემ მიმართ კეთილგანწყობილი იქნებოდა. ვინც ჩემს წინააღმდეგ ბოროტად საუბრობს, მტკიცებულებები წარმოადგინოს და საქმის გამოძიება მოითხოვოს, თუ არა, დაუსაბუთებულ ბრალდებებს თავი დაანებონ.

ექსკლუზიური ვერსია

# ნიკა რურუა: „პოლიტიკური ცხოვრებაში ჩართვა ეკლესიასაც ბევრ შეცდომას დააშვებინებს და სახელმწიფოსაც აზარალებს!“

*მე-3 გვერდიდან*

**— ალბათ, არ გინდათ ელექტორატის გაღიზიანება და მაგ მიზეზებიდან იმიტომ გამოტოვეთ რუსული სპეცსამსახურების ხელიც...**

— რა თქმა უნდა, სპეცსამსახურის ხელიც ერია... აშკარად იყო ივანიშვილის ფულის იმედი, რომელიც მათ ღვთიურ მანანად წარმოედგინათ და, როგორც გაირკვა, ისევ ღვთიურ მანანად დარჩა. სწორიც ქნა, პირადი ფული რომ არ დაურიგა ხალხს, ეს პარაზიტიზმის პირველი რეცეპტია. რაც უნდა მდიდარი იყოს ადამიანი, მისი დარიგებული ფულით ქვეყანა ვერ გამდიდრდება. ქვეყანა მდიდარია მაშინ, როდესაც ადამიანებმა იციან ეფექტური შრომა, ჩვენ ახლა ეს გამოსავალი გვაქვს, ეფექტურად შრომა უნდა ვისწავლოთ. ყველამ ერთად, დიდი, პატარა, საშუალო ბიზნესი უნდა განვავითაროთ, განათლებას მივხედოთ. სამწუხაროდ, ამ მთავრობას ამის გაკეთების უნარი არ აქვს.

**— ინტელიგენცია უკვე უკმაყოფილოა კულტურის მინისტრით, მათი უკმაყოფილება, ერთის მხრივ, ობიექტურია — მართლაც არაფერი კეთდება, მეორეს მხრივ, სუბიექტურია და გამოწვეულია იმით, რომ რაღაცას არ უკმაყოფილებენ. რა ხდება, რეალურად, ამ ფენას ძალიან კარგად იცნობთ მინისტრის პოზიციიდან... რა ფენომენთან გვაქვს საქმე და დღეს რამდენად ობიექტურები არიან კულტურის მინისტრის შეფასებაში?**

— ზუსტად არ ვიცნობ მათ პრეტენზიებს, რა პრეტენზიებზეა საუბარი? ზოგადი უკმაყოფილება, ხომ იცით, ქართველების სენია, ყოველთვის საკუთარი გასაჭირის მიზეზს ეძებენ სხვაში და სხვაგან და არა საკუთარ თავში. მოგეხსენებათ, ინტელიგენცია საბჭოთა ტერმინია, დასავლურ სამყაროში მას არ ხმარობენ, იქ ე.წ. ელიტები არსებობს, არსებობს ინტელექტუალური ელიტები, რომელშიც შედიან ინჟინრები, ექიმები, იურისტები, მათ შორის მწერლებიც და პოეტებიც, მაგრამ მარტო ეს არ არის ელიტა, ჩვენთან კი მარტო ასეა. პარაზიტიზმი არ უნდა წაახალისოს არც ერთმა ხელისუფლებამ იმიტომ, რომ პარაზიტობა დავრდომილობის წინაპირობაა. ჩვენი ინტელიგენციის რაღაც ნაწილი მიჩვეულიც იყო სახელმწიფოს კმაყოფაზე ცხოვრებას. მათი დიდი ნაწილი მუშაობდა, მაგრამ ნაწილი მიჩვეული იყო „ფავორებს“ სახელმწიფოს მხრიდან, ასე მაგალითად, დაუბეჭდავდნენ ყოვლად უნიჭო წიგნს ასი ათასიანი ტირაჟით, მას ყიდულობდა ისევ სახელმწიფო – სკოლებისთვის, ბიბლიოთეკებისთვის და არავინ კითხულობდა, მაგრამ ეს ადამიანი იყო ბედნიერი, ჰყავდა მანქანაც, ჰქონდა აგარაკიც... ეს სისტემა რომ მოიშალა, ძალიან კარგია. ყველანაირად ვცდილობდი, სახელმწიფოს ასეთი ფავორიტები არ ჰყოლოდა, ყოველთვის ვეხმარებოდი მათ, ვისაც მართლა სჭირდებოდა დახმარება – ახალგაზრდობას. როდესაც ქვეყანა სუსტია და ღარიბი, დამწყებს უნდა დაეხმარო, ნიჭის რეალიზება რომ შეძლოს, ფრთები გაშალოს. ასევე აუცილებლად ვეხმარებოდი იმ ხალხს, ვისაც უჭირს, შრომა აღარ შეუძლია, მაგრამ დამსახურებული ადამიანია. ასეთი ასზე მეტი იყო.

**— ამითაც ხომ არ ისარგებლა თავის დროზე ივანიშვილმა, თქვენ არ გასცემდით ფავორებს, ის გასცემდა წლების მანძილზე და მოიმადლიერა, მიიმხრო...**

— იყო, რა თქმა უნდა, ეს... ცოტა მოსყიდვას ჰგავდა ეს ამბავი, თუმცა ვიღაცისთვის დახმარება დახმარება იყო, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვინც სახელმწიფოსგანაც იღებდნენ და ივანიშვილისგანაც. ერთ-ერთ ცნობილ ადამიანს, რომელიც ღია კრიტიკოსი იყო მთავრობისა, 6 ათასი ლარი ჰქონდა ხელფასი და ერთი ამდენს კიდევ ივანიშვილი აძლევდა, ვერ ვიტყვით, რომ ის კაცი შიმშილით კვდებოდა... ეს მაინც პოსტსაბჭოთა ავადმყოფობაა, ამგვარი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ტრადიცია ყოველთვის იყო ჩვენს ინტელიგენციაში — მათ უხაროდათ და უნდოდათ ხელისუფლებასთან სიახლოვე იმიტომ, რომ საბჭოთა პერიოდში ეს იყო მათთვის არა მხოლოდ ფავორების წყარო, არამედ ხანდახან გადარჩენის საშუალებაც. განსაკუთრებით თავიდან – საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში მუსრი გაავლეს არა მარტო არისტოკრატიასა და ბიზნესელიტებს, არამედ შემოქმედებით ელიტებსაც. საქართველო რეპრესიების ყველა ტალღაზე ძალიან დაზარალდა — საუკეთესო ხალხი, უბრალოდ მოგვიკლეს, წაგვართვეს. ასეთი სოციალური „ინჟინერია“ კომუნისტებმა ჩაატარეს იმიტომ, რომ გამოეყვანათ უსამშობლო, უღირებულებო, მორჩილი ადამიანები, ვინც პარტიასა და მის ყველა განცხადებას უსიტყვოდ დაემორჩილებოდა, ეს იყო შიშით შექმნილი სისტემა და სწორედ ამან დათრგუნა ინტელიგენცია. თავიდან ეს მათთვის ხელშეუხებლობის გარანტია იყო, 50-იანი წლების შემდეგ კი, ამქვეყნიური სიამეების მოპოვების გარანტია — კარგი ბინების, კარგი აგარაკების, ნაკვეთების და ა.შ.

**— კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაზე მინდა გკითხოთ. აღნიშნული ნუსხის შედგენაზე წლები მუშაობდნენ სპეციალისტები, ახლა სტატუსის მოხსნის პრეროგატივა ეკონომიკის სამინისტროს ენიჭება, საუბარია იმაზე, რომ 6 ათასი ობიექტიდან მხოლოდ 800 შეინარჩუნებს სათანადო სტატუსს. რა ხდება, ვერ ინახავენ თუ ეს ყველაფერი იმისთვისაა, რომ უპრობლემოდ გაყიდონ?**

— ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ ინვესტორებზე ობიექტები იოლად გაყიდონ. რისი გაყიდვაც შეიძლება, იმის გაყიდვა, შესაძლოა, ცუდიც არ იყოს, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა რომ შეეძლება, ნამდვილად ცუდი იდეაა იმიტომ, რომ ხანდახან ბიზნესი დაუნდობელია კულტურასთან მიმართებაში — მას შეუძლია ეგოისტურად დაანგრიოს ღირებული, რამაც საუკუნეებს გაუძლო და წამოჭიმოს იქ სასტუმრო, რომელსაც ექნება მხოლოდ მონეტარული ღირებულება და არა კულტურული. ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის პრიორიტეტი უნდა დარჩეს კულტურის სამინისტროს პრეროგატივად.

**— თვითმართველობის კანონის პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა პატრიარქმა. ბევრი იურისტი, ისტორიკოსიც იგივეს აცხადებს, რომ ეს კანონი საქართველოს დაშლის საფრთხის შემცველია, მაგრამ ფაქტი, რომ პატრიარქი ასე ღიად ერევა სახელმწიფოს საქმეებში — თავისთავად სახიფათოა.**

— მომხრე ვარ, ეკლესია არ ჩაერიოს პოლიტიკაში. ეკლესიამ უნდა მწყემსოს მრევლი ქრისტიანულად, მისცეს შვება, აღასრულოს საიდუმლო რიტუალები – მიიღოს აღსარება და გვირჩიოს, როგორ ვიცხოვროთ. პოლიტიკური ცხოვრება არის ამქვეყნიური ამბები, მასში ჩართვა ეკლესიასაც ბევრ შეცდომას დააშვებინებს და სახელმწიფოსაც აზარალებს. მაცხოვარმა ყველაზე უკეთ თქვა – მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა. ეს ორი რამ – საღვთო და საერო, გაყოფილი უნდა იყოს და ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეა.

ცხადია, პატრიარქს აქვს უფლება, ყველანაირი აზრი გამოთქვას, ეს მისი თავისუფლებაა, მაგრამ როდესაც იგი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, იმედს ვიტოვებ, რომ პოლიტიკოსები ამ აზრს არ მიიღებენ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად და საკითხს თავისი შეხედულებით, საკუთარი პოლიტიკური ალღოთი და კანონის შესაბამისად გადაწყვეტენ.

# „მალე ქართველები ივანიშვილის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების მსხვერპლნი გავხდებით“

## რატომ მოუწოდებს არასაპარლამენტო პარტიებს თავიანთი „პარტიუკების“ დაშლისკენ შალვა ნათელაშვილი



რუსუდან შელია
557-100-768

**თვითმმართველობის კოდექსს ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს დასაშლელად „შემოგდებულ“ ინიციატივად მიიჩნევს, ოპოზიციურ პარტიებს ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ვაჭრობაში სდებს ბრალს, ამბობს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები მმართველ გუნდთან მხოლოდ დაფინანსების შესანარჩუნებლად თანამშრომლობენ; რატომ ელოდება აღნიშნული კანონის დამტკიცების შემთხვევაში სამხრეთ საქართველოში სეპარატისტული ძალების გაძლიერებას და გახდა თუ არა საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მსხვერპლი? „ვერსიას“ ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ესაუბრა.**

— თვითმმართველობის კანონი საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილმა ძალებმა ქვეყნის ფარგლებსგარეთ მოამზადეს და ქართველებს ბიძინა ივანიშვილის ხელით „შემოგვიგდეს“. თუ კოდექსი, რომელიც მხოლოდ საქართველოს დაშლას ემსახურება, პარლამენტმა დაამტკიცა და გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, მინიპარლამენტის მსგავსი საბჭოები შეიქმნა, სეპარატისტული ჯგუფები თანდათანობით გააქტიურდებიან.

**— ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ ცვლილებები დეცენტრალიზაციას შეუწყობს ხელს. ან რა არის მიუღებელი, თუ ქალაქებში მერის თანამდებობა არჩევითი გახდება?**

— მერის პირდაპირი არჩევის პროცესს არავინ ეწინააღმდეგება, თუმცა ეს იგივეა — ექიმმა ავადმყოფს ვიტამინები დაუნიშნოს, პარალელურად კი, შხამი ასვას, რომლის მოქმედების შედეგად პაციენტი მოკვდება. ქვეყნის რაიონებად დაშლა მართლაც შხამია, რადგან სეპარატისტებს გახსნილ პოლიტიკურ ტრიბუნას მივცემთ. სწორედ იგივე ხდებოდა სოხუმსა და ცხინვალშიც, როცა სეპარატისტებმა ჯერ სკოლაში აფხაზური ენის სწავლება, შემდეგ კი უნივერსიტეტის გახსნა მოითხოვეს. მათ უზენაესი საბჭოც ჰყავდათ. სეპარატიზმის ზეიმი სოხუმსა და ცხინვალში წარმატებით მხოლოდ იმის გამო დასრულდა, რომ მათ პოლიტიკური ტრიბუნა ჰქონდათ.

**— ანუ თვითმმართველობის კოდექსი რუსული გეგმის ნაწილია?**

— ამ შემთხვევაში მხოლოდ რუსეთი არ არის ჩართული. ზოგადად, სახელმწიფოთა და ხალხთა შორის მეგობრობა არ არსებობს, მოგონილია. მხოლოდ ადამიანებს შორის მეგობრობაა გულწრფელი, სახელმწიფოებს კი ერთმანეთთან საკუთარი ინტერესი და კონკურენცია აკავშირებს. თვითმმართველობის კოდექსის მიღება საკმაოდ ძლიერი ძალების ინტერესებში შედის. ჩვენი ხელსუფლების მოღალატეობრივი საქმიანობა კი სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს. არაქართულ რეგიონებში მსგავსი პრეცენდენტი საკმაოდ დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, თუმცა საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის — მე-15 საუკუნეში სამხრეთ საქართველო ცენტრალური ხელისუფლებისგან სწორედ ქართველმა დიდგვაროვანმა ყვარყვარე ათაბაგმა გამოყო. არ ვამბობ, რომ ყველაფერი რამდენიმე თვეში გადაწყდება, თუმცა ეს პროცესი დაწყებულია და მისი განხორციელების პერსპექტივებიც რეალურად იკვეთება. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ კანონის ინიციატორები რესპუბლიკელები არიან. ხაზგასმით ვამბობ, ეს თვითმმართველობის კოდექსი ბიძინა ივანიშვილმა შემოგვთავაზა, მისი ლობირება კი რესპუბლიკელებს დაავალა. ეს პოლიტიკური პარტია საქართველოს მიმართ ზიზღით დიდი ხანია ცნობილია, მათ გრანტების მიღების გარდა არაფერი აინტერესებთ.

**— თუმცა კოდექსის განხილვაში ოპოზიციური პარტიებიც ჩაერთნენ და ხელისუფლებაც კომპრომისისთვის მზადაა. კანონში არსებულ სადავო პუნქტებზე ცვლილებების მოლოდინი არ გაქვთ?**

— ხელისუფლება გვატყუებს, როცა კომპრომისზე გვესაუბრება, რეალურად კოდექსში არაფერი იცვლება. მაგალითად, მცხეთის ტერიტორიაზე შვიდი რაიონი, შვიდი პოლიციის უფროსით, შვიდი მოსამართლით, შვიდი სანიტარული კონტროლის სამსახურითა და შვიდი პროკურორით ჩამოყალიბდება. ან რომელ ოპოზიციურ პარტიებზე ვსაუბრობთ?! ეს ადამიანები ხელისუფლებასთან მხოლოდ დაფინანსების შენარჩუნების საკითხს განიხილავენ, საქართველოს მომავალი კი, რეალურად არც ერთ ადარდებს.

**— განხილვაში სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან ერთად გიორგი გუგავაც ჩართული იყო. „ლეიბორისტებიც“ სახელმწიფო დაფინანსების მიღებას ცდილობთ?**

— მე ვთქვი, რომ ამ განხილვებს არ ვენდობი. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. ფაქტია, ქვეყანას ოპოზიცია არ ჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება მსგავსი რეფორმის გატარებას ვერ გაბედავდა. თანაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა „ლეიბორისტებმა“ გაყალბებული ბიულეტენების გადათვლა მოვითხოვეთ, არც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ მხარი არ დაგვიჭირა.

**— 2010 წელს ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეთ, თუმცა ოპოზიციურ პარტიებს თქვენს მიმართ სოლიდარობა არც მაშინ გამოუჩენიათ. არც 2014 წლის არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას?**

— დიახ, 2010 წელს ოპოზიციურმა პარტიებმა მიხეილ სააკაშვილს გაყალბებული არჩევნები „გაუპრავეს“, რასაც კატეგორიულად ვეწინააღმდეგებოდით. ბოიკოტის შედეგად „ლეიბორისტებმა“ დაფინანსება დავკარგეთ, დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა კი, კახა კუკავადან დაწყებული ირაკლი ალასანიათი დამთავრებული, გიგი უგულავას არჩევნებში გამარჯვება მიულოცეს. დღეს ეს ადამიანები ხელმძღვანელ თანამდებობებზე არიან და სახელმწიფოსგან დაფინანსებასაც იღებენ. მსგავს თავგანწირვას „ლეიბორისტები“ აღარ ვაპირებთ, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი უმადური აღმოჩნდა, ამიტომ არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ.

**— ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა არასაპარლამენტო ოპოზიციების გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრობენ. აპირებთ მათთან კოალიციაში შესვლას თუ არჩევნებში ძალებს დამოუკიდებლად მოსინჯავთ?**

— სანამ კოალიციის შექმნაზე საუბარს დაიწყებენ, თავიანთი „პარტიუკები“ დაშალონ, სადაც ფულის სათვლელად მხოლოდ თავმჯდომარე და ბუღალტერი შემორჩათ. დიდი ხანია არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს შევთავაზე, მობრძანდით, ყრილობა ჩავატაროთ და კომიტეტი ავირჩიოთ, ყველანაირად ხელს შეგიწყობთ-მეთქი, თუმცა როგორც ჩანს, მათ პარტიიდან პარტიაში, კოალიციიდან კოალიციაში სირბილი ურჩევნიათ, რათა რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ. ნუ დასტრიალებენ ქვეყანას ყვავ-ყორნებივით, ამოვიდა ყელში! კოალიციაში კი არ გავერთიანდები, რადგან მსგავსი გაერთიანების მიზანი ისევ და ისევ ხელისუფლებასთან ვაჭრობა იქნება. ამ შედეგამდე საქართველოს დაუძინებელმა მტერმა, ბიძინა ივანიშვილმა მიგვიყვანა, რომელიც ქვეყანას ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა. მან ჯერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გადატრიალება და ზვიად გამსახურდიას დამხობა, შეიარაღებული ბანდ-ფორმირებები დააფინანსა, შემდეგ კი, შევარდნაძე ჩამოიყვანა და რუსეთში იარაღის კონტრაბანდით ნაშოვნი ფული „ქართუ ბანკის“ საშუალებით გაათეთრა. ცოტა ხანში, ბიძინა ივანიშვილმა შევარდნაძეს „ვარდების რევოლუცია“ მოუწყო, ბურჯანაძე-სააკაშვილი-ჟვანია დააფინანსა, კოლოსალური პრემიები აძლია, მთელი ქვეყანა ხელში ჩაიგდო, ბოლოს კი ხელისუფლებიდან განდევნა და სრულიად სახელმწიფო იყიდა — მათ შორის, პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, პოლიტიკური პარტიები, ტელევიზიები, ექსპერტები და ბოლოს, საზოგადოებასაც თავზე დაგვაფურთხა. ვინც ამას ვერ გრძნობს, ივანიშვილზე უარესია!

**— თუმცა, ბიძინა ივანიშვილი ხომ ხელისუფლებაში მის მიერ მოყვანილი პოლიტიკური ძალების გაკრიტიკებას სამოქალაქო სექტორიდან გეგმავს?**

— ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივ სექტორში არ გამოჩნდება, ის ახლა მხოლოდ თავისი მილიარდების დაბანდებითაა დაკავებული — საქართველო მის საბანკო ანგარიშად იქცა. მალე ქართველები ივანიშვილის მონებიც აღარ ვიქნებით, ჩვენ მხოლოდ მისი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების მსხვერპლი გავხდით.

**— პოლიტიკური ექსპერიმენტი რაში გამოიხატება?**

— ბიძინა ივანიშვილმა არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შეასრულა! ზამთარში კი, ისეთი შიმშილი გველოდება, შევარდნაძისა და სააკაშვილის დროსაც რომ არ ყოფილა. ფაქტია, საზოგადოება ყველაფერს ეჩვევა და ეგუება — ქართველი ხალხი ახლა ივანიშვილისა და უსუფაშვილის ბედნიერებით ტკბება. ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის გადაგდებისთვის პასუხი უნდა აგოს. ამასობაში, ვხედავთ, რომ პრეზიდენტის, მინისტრების, დეპუტატების, მათი თანაშემწეების, გუბერნატორებისა და მოადგილეების ხელფასები სამმაგდება. თუ ვთქვათ, სააკაშვილის დროს ხელფასებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 30 მილიონი ლარი იხარჯებოდა, „ქართული ოცნება“ ამ მიმართულებით 100 მილიონს ხარჯავს. მარგველაშვილიც და დანარჩენებიც ოლიგარქმა საკუთარ მონებად დაიქირავა. ამასობაში, უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას ყვავ-ყორნები ეპატრონებიან. ე.წ. საზღვართან მიმდინარე სადემარკაციო სამუშაოების პარალელურად, ხელისუფლება მოგვიწოდებს, ყურადღებას ნუ მივაქცევთ, რუსულ პროვოკაციას არ ავყვეთო. აბა, თბილისის ბოტანიკურ ბაღთან ივანიშვილის ეზო შემოღობოს ვინმემ, რა დღეში ჩავარდება — იკივლებს და იწივლებს. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანი თანამემამულეებმა ერის ლიდერად მოიყვანეს. რაც შეეხება რუსეთს, მას ღირსეული პოლიტიკა არ გააჩნია. შევარდნაძესა და სააკაშვილს სწორედ რუსეთი ეხმარებდა, ამიტომაც უგზავნიდნენ ნაციონალურ მოძრაობას ბენდუქიძესა და მის მილიონებს. ივანიშვილიც სწორედ რუსეთმა მოგვივლინა.

**— თუ ბიძინა ივანიშვილი მართლაც რუსული პოლიტიკის ნაწილია, სადემარკაციო სამუშაოების განახლების პროცესს რითი ხსნით?**

— ივანიშვილმა რუსები „გადააგდო“ და სწორადაც მოიქცა. დღეს რუსული იმპერიის ბედი კიევში წყდება. თუ რუსეთმა უკრაინის შენარჩუნება ვერ მოახერხა, როგორც სახელმწიფო, დაიშლება. შესაძლოა, ამ ფონზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონით სეპარატისტულ რეგიონებში ეთნიკური აფეთქების პროცესი დაიწყოს. თვითმმართველობის კოდექსს ყველა სათავისოდ გამოიყენებს, მათ შორის რუსეთიც.

ვერსიანიუსი

## ვანო მერაბიშვილი 26 მაისის საქმეზე წინასწარ პატიმრობაში რჩება



შს ყოფილი მინისტრის ადვოკატებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმის არსებით განხილვაზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი დააყენეს. ადვოკატები წინასწარი პატიმრობის გაუქმებას ან მისი გირაოთი შეცვლას მოითხოვდნენ. მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ბრალდების მხარემ შესავალი სიტყვა წარმოთქვა და ვიდეო და ფოტომასალაც წარადგინა. პროკურორ ჯარჯი წიკლაურის თქმით, 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ გენინსპექციაში ჩატარდა მოკვლევა და დაისაჯნენ რიგითი პოლიციელები, რომელთაგან უმეტესობა ოპერაციაში არ მონაწილეობდა. ბრალდების მხარემ წარმოადგინა სქემა, სადაც ასახულია, როგორ განვითარდა მოვლენები 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე. პროკურორის თქმით, არსებობს ოფიციალური გეგმა, რომელსაც ხელს ვანო მერაბიშვილი და მისი მოადგილეები — შალვა ჯანაშვილი და გია ლორთქიფანიძე აწერენ: უნდა მომხდარიყო რუსთაველის გამზირის მომიტინგეებისგან გაწმენდა, თუმცა არა ქუჩების გადაკეტვა. ეს გეგმა ფასადურია, რეალურად კი, მერაბიშვილმა პირადად გასცა ბრძანება, ჩაეკეტათ რუსთაველის ყველა მიმდებარე ქუჩა, რათა დაეკავებინათ აქციის რაც შეიძლება მეტი მონაწილე და დაესაჯათ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. მერაბიშვილი 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სამინისტროს შენობიდან რუსთაველზე არსებული ვიდეოკამერებით, თვალ-ყურს ადევნებდა აქციის დაშლას, რომელშიც 3 000-ზე მეტი სამართალდამცველი მონაწილეობდა. მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ბრალდებები სუსტია, ბრალდების მხარე კი — მოუმზადებელი.

2011 წლის 26 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლის დროსაც რუსთაველის გამზირზე მიტინგი დაშალეს, ვანო მერაბიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით აქვს წაყენებული, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

*„პირველი“*



# პროკურატურამ ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ შეტანილი განცხადების შესწავლა დაიწყო

**ლაშა ნაცვლიშვილისა და გია ხუხაშვილის გარშემო სკანდალი არ წყდება. მთავრობის კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და მისივე მთავრობის საკმაოდ გავლენიან პირებს, ნაცვლიშვილსა და ხუხაშვილს შორის მწვავე საუბარი შედგა. როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა თავად გასცა ბრძანება, გამოიძიონ ყველა ის საქმე, რომელიც მთავრობაში ნაცვლიშვილისა და ხუხაშვილის ერთწლიან საქმიანობას უკავშირდება. გავრცელებული ინფორმაციით, ამის შემდეგ ლაშა ნაცვლიშვილმა ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა და აშშ-ს საელჩოს მიმართა ვიზის მისაღებად, თუმცა საელჩომ ვიზის გაცემაზე უარი უთხრა. ინფორმაციის გადასამოწმებლად აშშ-ს საელჩოს დავუკავშირდით, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთეს. სატელეფონო ზარებს არ პასუხობს ლაშა ნაცვლიშვილიც.**

საქართველოს მთავარ პროკურატურაში კი განგვიცხადეს, რომ ყოფილი მთავარი პროკურორისა და ყოფილი პირველი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში შეტანილი განცხადების შესწავლა დაიწყო. რა დასკვნამდე მივა გამოძიება, მოგვიანებით გახდება ცნობილი. ლაშა ნაცვლიშვილმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოღვაწეობა შსს-ში დაიწყო, მას მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, თუმცა მაშინდელი შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, მთავარ პროკურატურაში გადაიყვანეს. მიზეზებზე ოფიციალური კომენტარი არ კეთდება, არაოფიციალურად კი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნაცვლიშვილი კონკრეტული საქმეების ლობირებას შეეცადა, რაც მინისტრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე რომ ხშირად წყვეტდა არჩილ კბილაშვილის გადასაწყვეტ საკითხებს, ამის შესახებ თავის დროზე ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა: **„კბილაშვილი ამერიკელებსაც მოსწონთ და ევროპელებსაც. ლაშა უფრო პრაქტიკულია და მეტი გამოცდილება აქვს. ხშირად წყვეტს იმას, რაც არის კბილაშვილის გადასაწყვეტი. ასეთი კაზუსები შეიძლება იყოს, ეს არ არის დიდი პრობლემა“.**

ლაშა ნაცვლიშვილი პროკურატურაში გამოძიებას კურირებდა, უშუალოდ კი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას საქმეს და როგორც ამბობენ, მისი გამამართლებელი განაჩენიც ნაცვლიშვილის დამსახურებაა. იმის დასტური, რომ პროკურატურა ახალაიას მიმართ ლოიალური იყო, ის ფაქტიცაა, რომ ერთი და იგივე დანაშაულზე სასამართლომ ახალაია გაამართლა, ხოლო მასთან ერთად ბრალდებულების წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, ნაცვლიშვილი და გელა ხვედელიძე უშუალოდ გავიდნენ კავშირზე კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსანთან დათა ახალაიასთან და გარკვეული ინფორმაციის სანაცვლოდ, მას ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს. ლაშა ნაცვლიშვილს ბიზნესის წართმევის მცდელობაში „რუსმეტალის“ ხელმძღვანელები ადანაშაულებენ. ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის, ზაზა მამულაშვილის განცხადების საფუძველზე, კომპანიის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. კომპანიის ფინანსურ დირექტორს, გერონტი ცვარიანსა და ბუღალტერს, თამარ ჯავაშვილს პროკურატურამ 202-ე მუხლით ბრალი წარუდგინა, რაც დოკუმენტების გაყალბებას ითვალისწინებს. კომპანიის გენერალური დირექტორის, თემურ მიმინოშვილის თქმით, პროკურატურაში შეტანილია ორი სარჩელი თაღლითობის სქემაზე, რომლის მეშვეობითაც მამულაშვილმა მილიონ ლარზე მეტი მიითვისა. ეს საკითხი წინ არ წაწეულა მაშინ, როცა მამულაშვილის განცხადების საფუძველზე, საქმის წარმოება 3 დღეში დაიწყო. მიმინოშვილის განცხადებით, მამულაშვილი ნაცვლიშვილის უახლოესი მეგობარია.

ლაშა ნაცვლიშვილის სახელი ფიგურირებს ბიზნესმენ გელა მიქაძის დაკავების საქმეში. არსებობს ინფორმაცია, რომ დაკავებამდე მას მოსთხოვეს ბიზნესის დათმობა, როგორც ამბობენ, მასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებას მთავარი პროკურორის მოადგილე აწარმოებდა და უარის მიღების შემდეგ დააკავეს, მისი ქონება და საბანკო ანგარიშები კი დააყადაღეს. **„არ ვფლობ ინფორმაციას, კონკრეტულად ეს პირი იყო თუ არა ამ წილის მომთხოვნი, მაგრამ გიდასტურებთ, ასეთი მოთხოვნა ნამდვილად იყო. ფაქტიც იმის შესახებ, რომ არც ერთ კითხვას არ უსვამენ ადამიანს, ვისაც სულ უფრო მეტ ბრალს უყენებენ, მიმანიშნებს, რომ მხოლოდ ბრალდებაა გამოძიების ინტერესი და არა სიმართლის დადგენა“,** — აცხადებს ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი**.

ლაშა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს კორტებთან მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, **იური ვაზაგაშვილი**. მისი თქმით, მისი შვილის მკვლელებს, უშუალოდ, ნაცვლიშვილი მფარველობდა: **„ვითხოვ, ნაცვლიშვილისა და კბილაშვილის პასუხისგებაში მიცემას — წინ ედოთ თითქმის გამოძიებული საქმე და არ გამოიძიეს. პროკურატურაში იყო დაინტერესებული პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა ამ გახმაურებული საქმეების გამოძიებებს. კვალი მიდის ნაცვლიშვილთან. შევხვდი კბილაშვილს. ვუთხარი, საქმე გამოძიებული მაქვს, ვითანამშრომლოთ-თქო. ბევრი რამ დავუმტკიცე. დაუძახა ნაცვლიშვილს და დაავალა, ამ საქმეში ხვალვე სამი გამომძიებელი დაამატეო. 6 თვის განმავლობაში არც ერთი გამომძიებელი არ დაამატა ნაცვლიშვილმა, ისე წაიღეს ეს საქმე ქალაქის პროკურატურაში“.** ვაზაგაშვილისვე თქმით, ნაცვლიშვილი უშუალოდ მფარველობდა შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს ლევან გვაზავას, რომლის უშუალო ხელმოწერით მოხდა სპეცდანიშნულების რაზმის გაყვანა: **„ნაცვლიშვილს წარსულს რომ გადავხედოთ, სულ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან იყო ჩახუტებული. ის მეგობრობს იმ ხალხთან, ვინც ამ მკვლელობებით, ქონების წართმევითა და ბიზნესმენების დატერორებით იყვნენ დაკავებულები. მეტიც, მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა, რომელიც ძალიან ბევრ ბინძურ საქმეშია გასვრილი, დღემდე ვინმეს უხსენებია? ის ნაცვლიშვილის უახლოესი მეგობარია. ყოველ საღამოს რესტორნებში ქეიფობდნენ ერთად. ნაცვლიშვილი მფარველობდა მათ. დიახ ბატონო, ჩემი შვილის მკვლელებს მფარველობდა ლაშა ნაცვლიშვილი. ლევან გვაზავამ დაგეგმა ფირცხალავასთან ერთად საბურთალოს სასაფლაოზე ბიჭების ჩაცხრილვის ოპერაცია. ეს კაციც ნაცვლიშვილის ძმაკაცია. სხვა საქმეებსაც მფარველობდა ნაცვლიშვილი. ყველა ძველ კადრებს, უშუალოდ ის მფარველობდა. როგორ შეიძლება შაქრო ზაალიშვილი, თენგიზ ხარებავა და სხვები მუშაობდნენ პროკურატურაში?! რა ბრალიც ბაჩო ახალაიას და ვანო მერაბიშვილს წაუყენეს, ესეც ნაცვლიშვილის დამსახურებაა. ქვეყანა დააქციეს, ხალხი დახოცეს და ხედავთ რაზე ჰყავთ დაჭერილი, ეს ამ ხელისუფლების სირცხვილია“.**

***For.ge***



# „უნიქარდი“ „ვისოლსა“ და სხვა პარტნიორებთან ერთად მოგების სამ შანსს გაძლევთ

საახალწლო განწყობას, „უნიქარდი“, „ვისოლსა“ და სხვა პარტნიორებთან ერთად მომხმარებელს უკვე უქმნის — გათამაშება სახელწოდებით „სამმაგი მოგების შანსი და 10 000 გამარჯვებული“ დაიწყო. ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ, „უნიქარდისა“ და მისი ძირითადი პარტნიორების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს „ივენთ ჰოლში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე, ფერადი ბურთებით შემკული გასათამაშებელი მანქანების ფონზე აცნობეს.

უნივერსალური გათამაშების ფარგლებში, „უნიქარდის“ ყველა მფლობელს, საქართველოს მასშტაბით, საშუალება ეძლევა, მოიგოს „პორშე კაიენი“, ბიზნეს კლასის „ფორდ მონდეო“ (თამაშდება ამ მარკის 3 ავტომობილი), დასრულებულ-გარემონტებული ბინა „აქსის პალასი საირმეზე“ ან 10 000 მომენტალური პრიზი, მათ შორის ტური ბარსელონაში.

„უნიქარდის“ ყველაზე ძველი პარტნიორი „ვისოლ ჯგუფი“ აქციაში თითქმის ყველა შვილობილი კომპანიით მონაწილეობს. „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე დარწმუნებულია, რომ გათამაშება მომხმარებელს ძალიან მოეწონება და საახალწლო განწყობას ნამდვილად შეუქმნის. **სოსო ფხაკაძე: „ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ინიციატივას ჩავუყარეთ საფუძველი. ჩვენს ქვეყანაში, ბოლო წლებში, მსგავს გათამაშებას სხვადასხვა კომპანიები ატარებდნენ, მაგრამ მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ მასშტაბით, ეს უპრეცედენტო აქციაა. დარწმუნებული ვარ, დადებით ეფექტს მოიტანს. დადებით შედეგში კი, ჩვენი კომპანიის რეალიზაციის ზრდას არ ვგულისხმობ — ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, კარგი საახალწლო საჩუქარი გაგვეკეთებინა მომხმარებლისთვის და ამიტომაც დავიწყეთ ეს გათამაშება საახალწლო პერიოდში. მიხარია, რომ „უნიქარდსა“ და მის პარტნიორ კომპანიებთან ერთად კარგ საქმეს ვაკეთებთ. „ვისოლ ჯგუფი“ ამ პროექტში მართლაც სრულადაა წარმოდგენილი — გათამაშებაში „ვისოლ პეტროლიუმიც“ მონაწილეობს, „სმარტიც“, „ვენდიც“... დარწმუნებული ვარ, ამ აქციას კარგი შედეგი ექნება და მომხმარებელი, რომელსაც სიურპრიზებს მომავალშიც შევთავაზებთ, კმაყოფილი დარჩება“.**

მომხმარებელს სიურპრიზებით განებივრებას „უნიქარდიც“ პირდება. დირექტორმა ბესო აბულაძემ აღნიშნა, რომ ეს გათამაშება, „უნიქარდის“ მფლობელებისთვის არც პირველი წამახალისებელი აქციაა და ცხადია, არც უკანასკნელი იქნება. **„უნიქარდი“, პარტნიორებთან ერთად, კიდევ ერთ საჩუქარს სთავაზობს ერთგულ მომხმარებელს — იწყება გათამაშება, რომელიც შინაარსით უნიკალურია, რადგან მომხმარებელს მოგების სამმაგი შანსი აქვს. ჯამში, „უნიქარდის“ 10 000-ზე მეტი მფლობელი გახდება გამარჯვებული. მომხმარებელს, მსგავსი აქციებითა და სიურპრიზებით, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, მომავალშიც გავანებივრებთ“,** — განაცხადა **ბესო აბულაძემ** და „სამი შანსის“ სპეციფიკაც განმარტა:



## უნივერსალური გათამაშება — მოიგე მანქანა, ბინა, ტური ბარსელონაში ან 10 000-დან ერთი პრიზი

მოგების პირველი შანსი მაშინ მოგეცემათ, როცა „უნიქარდის“ რომელიმე პარტნიორ კომპანიაში „უნიქარდით“ რაიმეს შეიძენთ. მაგალითად, „ვისოლის“ ბენზინგასამართში დაახლოებით 30 ლარის ბენზინის ან დიზელის, 12 ლარის ავტოგაზის ან „სმარტში“ 15 ლარის პროდუქტების ყიდვისას, გადმოგეცემათ გათამაშების ბილეთი. გადაფხეკთ მასზე დატანებულ სპეციალურ საფარს და დიდი შანსია, 10 000-დან ერთი პრიზის მფლობელი გახდეთ. მომენტალური გათამაშებისას მოგებული საჩუქრების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია: სასაჩუქრე ვაუჩერები, საწვავის ტალონები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, „უნიქარდის“ ქულები და რაც ყველაზე საინტერესოა, უნიტური ბარსელონაში.

თუ ბილეთი არ აღმოჩნდა მომგებიანი, გულს ნუ გაიტეხთ, რადგან „პორშე კაიენის“ ან ბიზნესკლასის „ფორდ მონდეოს“ მოგების შანსი ჯერ კიდევ გაქვთ: გადაფხეკილი ბილეთი მოათავსეთ სპეციალურ ყუთში, რომელიც აუცილებლად დაგხვდებათ იმ კომპანიაში, სადაც შენაძენი გააკეთეთ და დაელოდეთ 30 იანვარს — სწორედ ამ დღეს იქნება „უნიქარდის“ გათამაშება „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში.

მესამე შანსი საირმეზე აქსის პალასის დასრულებულ-გარემონტებულ ბინას უკავშირება. „უნიქარდის“ ნებისმიერ პარტნიორთან დაგროვილ ყოველ 10 ქულაზე ელექტრონულ ბილეთს მიიღებთ, რომლის წყალობით, აღნიშნული სახლის მფლობელი შეიძლება გახდეთ. ბინის მფლობელიც, 30 იანვარს გამოვლინდება.

„უნიქარდის“ დირექტორის ბესო აბულაძის განმარტებით, გათამაშებაში მათი არაერთი პარტნიორია ჩართული — „უნიქარდის“ მფლობელებს მოგების სამმაგი შანსი ეძლევათ „ვისოლის“, „ჯიპისის“, „სითი ფარმას“, „ჯინს გალერის“ ჯგუფის მაღაზიებში, „ვულე ვუს“, „ოქეის“, „მეტრომარტის“, „არაის“ ობიექტებში. გათამაშება სახელწოდებით „სამმაგი მოგების შანსი და 10 000 გამარჯვებული“ 2014 წლის 20 იანვარს დასრულდება. 30 იანვარს კი, როგორც მოგახსენეთ, „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში „პორშე კაიანის“, 3 „ფორდ მონდეოს“ და ბინის მფლობელები გამოვლინდებიან.

***ნინო ლურსმანაშვილი***

# შარანგიებს „ოცნებაშიც“ მფარველობენ? — ვინ შეაჩერა გამოძიება და რას ითხოვს მამია სანადირაძე ხელისუფლებისგან



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„კავკასუს ონლაინის“ დამფუძნებელს, მამია სანადირაძეს თავისუფალი სასამართლოს იმედი აქვს. წინა ხელისუფლების პირობებში, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმა, ძმებმა შარანგიებმა მამია სანადირაძეს ინტერნეტპროვაიდერი კომპანია „კავკასუს ონლაინი“ წაართვეს. დაზარალებულმა ბიზნესმენმა კომპანიასთან ერთად ის მედიასაშუალებებიც დაკარგა, რომლებსაც „კავკასუს ონლაინი“ აფინანსებდა. „ვერსიასთან“ საუბრისას, მამია სანადირაძე სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. ბიზნესმენს მიაჩნია, რომ უშუალოდ სააკაშვილის მსხვერპლია, შარანგიებს კი მფარველები ახალ ხელისუფლებაშიც ჰყავთ. გამოძიება კი, რომელიც ერთი წელია ჭიანურდება, მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ლაშა ნაცვლიშვილმა შეაჩერა.**

— ჩემს გარდა, 200-მდე ბიზნესმენია დაზარალებული და მოძრაობა „დააბრუნე“ შევქმენით. პარლამენტის წევრებს, მინისტრებს შევხვდით, მაგრამ უშედეგოდ. ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებთან შეხვედრის დროს თქვა, არ ღირს ამ საქმეების გამოძიება, რადგან ამ ქონების დაბრუნება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვებაო. პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ეს საქმეები შეჩერებულიყო. გამოძიების შეჩერების უფლება არავის აქვს, არ ვიცი, ივანიშვილს ეს გამოუცდელობის გამო მოუვიდა თუ არა. ბიზნესმენები სერიოზულად დაზარალდნენ და ვინ აანაზღაურებს ამ ზარალს? ერთი წლის განმავლობაში, ჩემი ქონება გადაიყიდა — დამნაშავეთა დაჯგუფება, რომელიც ახლა მართავს „კავკასუს ონლაინს“, ცდილობს, ქონება გაანიავოს, მაგალითად, შავი ზღვის კაბელი, რომელიც ევროპას უკავშირდება, წინასწარი, 15-წლიანი იჯარით გაყიდეს. ძმები შარანგიები, ხვიჩა მაქაცარია, ლევან ყარამანაშვილი — მიხეილ სააკაშვილის ჯიბის ბიზნესმენები არიან, რომლებიც აფინანსებდნენ და დღესაც აფინანსებენ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას; დღესაც, ამ კომპანიაში ნაციონალების აქტივისტები, ზონდერები მუშაობენ. ერთ წელში, „კავკასუს ონლაინის“ საკრედიტო ვალდებულებები 25 000 000 აშშ დოლარით გაიზარდა.

**— წართმეული ქონების დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტს ტვირთად რატომ დააწვება, ორ კერძო სუბიექტს შორის არსებული დავა ისევ მათ შორის არ მოგვარდება?**

— სახელმწიფო ბიუჯეტი არაფერ შუაშია. მიხეილ სააკაშვილი ბოლო დღემდე 1 ლარად ურიგებდა ქონებას საკუთარ ახლობლებსა და გარემოცვას. ორი დღის წინ ვნახე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დგინდება, რომ სააკაშვილმა „სილქ როუდის“ ხელმძღვანელს, გიორგი რამიშვილს, იგივე „ზარალას“, ვარდების რევოლუციის მოედანზე, უდიდესი მიწის ნაკვეთი 1 ლარად აჩუქა, არადა, აქ 1 კვ/მეტრი ძალიან ძვირი ღირს. სააკაშვილმა 1 ლარად გაჩუქების კანონი თავისთვის შექმნა, ძალაუფლების უზურპაცია განახორციელა და დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონება დაიტაცა. დაახლოებით, 27 000 ჰექტარი 1 ლარად აქვს გაჩუქებული. ეს კი, უხეში გათვლებით, 27 მილიარდი ლარია. გამოიძიოს ახალმა ხელისუფლებამ ეს საქმეები და სააკაშვილის დატაცებული 27 მილიარდიდან, დაზარალებულ ბიზნესმენებს ზარალი აუნაზღაუროს. სახელმწიფო ბიუჯეტი რა შუაშია? სხვათა შორის, თუ ბიუჯეტს უჭირს და წართმეულ ქონებას ვერ აბრუნებ, ახალი ხელისუფლების ჩინოვნიკებმა 100 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ჯიპები როგორღა იყიდეს?

**— ანუ ქონების დაბრუნებას თქვენც შარანგიებისა და სააკაშვილისგან ითხოვთ?**

— დიახ და მაქვს მტკიცებულებები — ჩანაწერები, სადაც მათი მუქარისა და ზეწოლის ფაქტებია ასახული. ერთი წლის წინ, პროკურატურაში მივიტანე ეს მტკიცებულება, სულ 11-საათიანი ჩანაწერია, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. პრაქტიკულად, ეს დანაშაულის თანამონაწილეობაა. ეჭვი მაქვს, გამოძიება მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ლაშა ნაცვლიშვილმა შეაჩერა.

**— ფიქრობთ, შარანგიებმა ლაშა ნაცვლიშვილთან გამონახეს საერთო ენა?**

— ადვილი შესაძლებელია, დატაცებული თანხის ნაწილით, შარანგიებს გარკვეული პირები მოესყიდათ. სხვაგვარად, ეს საქმე რატომ უნდა შეჩერებულიყო? როგორ შეიძლება, დამნაშავეს ხელი დააფარო? შესაბამისმა სტრუქტურებმა ნებისმიერი სახის დანაშაული უნდა გამოიძიონ. იმ ფარულ ჩანაწერში, რასაც გამოძიებამ ყურადღება არ მიაქცია, თვითონვე აღიარებენ, რომ „კავკასუს ონლაინი“ სააკაშვილისაა. არ ვიცი, ასეთი გულგრილობა კოჰაბიტაციის ბრალი იყო, თუ უბრალოდ, ფული გაიყვეს, ფაქტია, დანაშაული მოხდა და არც გამოიძიეს. ისიც გავიგეთ, რომ შარანგიები ახალ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობენ, მეტიც — ახალ ხელისუფლებაშიც არიან პირები, რომლებიც მათ ლობირებენ. ვვარაუდობ, რომ რადგანაც წინა ხელისუფლების პირობებში ბიზნესმენებს უდიდესი ქონება წაართვეს, ახლა არის ცდუნება, ეს თანხა ახალი ხელისუფლების ჩინოვნიკებს შორის გადანაწილდეს. ამ ფონზე, აუცილებელია, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მკაცრად იმოქმედოს; მეტიც — ვფიქრობ, ძმები შარანგიების დაჯგუფება „კავკასუს ონლაინს“ ხალხისა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყენებს. ამ უდიდესი ქსელითა და მასში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურით, უკონტროლოდ უსმენენ ყველას, მათ შორის „ქართულ ოცნებასაც“. ვიმეორებ, „კავკასუს ონლაინში“ ნაციონალების ზონდერები და შსს-ს ძველი თანამშრომლები მუშაობენ. ჩემი ინფორმაციით, გამქრალია მოსასმენი აპარატურა, რომლითაც მობილურ ტელეფონებს უსმენდნენ. ვეჭვობ, „კავკასუს ონლაინის“ ქსელის გამოყენებით მოსმენები ისევ გრძელდება და ნაციონალები პოლიტიკური რევანშისთვის ემზადებიან. ეს ქსელი საკმაოდ რთული გასაკონტროლებელია, თუ მას არ ხელმძღვანელობს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანი. წინა ხელისუფლებასთან კონფლიქტი იმის გამო მქონდა, რომ არ დავემორჩილე ვანო მერაბიშვილის ბრძანებას, საზოგადოება მეკონტროლებინა. ამ ბრძოლას შეეწირა ჩემი ქონება...

**— შარანგიების ქმედება თავისუფალ მედიაზე ზეწოლა არ არის?**

— დიახ, ასეა. მაშინ ერთადერთი ვიყავი, ვინც თავისუფალ მედიას აფინანსებდა. „აი ტი ვი გე“, „პრესა გე“, „ინტერნეტ გე“ ამხელდნენ წინა ხელისუფლების არაადამიანურ ქმედებებს და ცხადია, ეს არ მოსწონდათ. „კავკასუს ონლაინის“ ხელში ჩაგდებით, ამ მედიასაშუალებებსაც დაეპატრონნენ და დღესაც ხელისუფლების წინააღმდეგ ამუშავებენ. ზოგი ჩინოვნიკის დაუდევრობის გამო, კანონიერ მფლობელს არ დამიბრუნეს ქონება, სამაგიეროდ, „კავკასუს ონლაინი“ და იქ არსებული მედიასაშუალებები ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს. გეკითხებით, რაციონალურად მოაზროვნე რომელი ადამიანი თუ პოლიტიკური პარტია დაუშვებდა ამას? ეს არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. 16 დეკემბერს სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს და სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი მაქვს.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ძმები შარანგიები აპირებენ, ლონდონის სასამართლოს მიმართონ. დროის გაყვანას ცდილობენ?**

— მათი სტრატეგიაა, პროცესი დროში გაწელონ. ჩემს სიმართლეს ყველგან დავამტკიცებ, მათ შორის, ლონდონშიც. ვვარაუდობ, რომ შარანგიები სასამართლო პროცესის გადავადებაში გარკვეულ თანხას იხდიდნენ, რათა გამოძიება არ დაწყებულიყო. ხელისუფლებამ ხალხის წინაშე აღებული ვალდებულება უნდა შეასრულოს და წართმეულ ქონებასთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყოს. თუ კერძო საკუთრებას არ დაიცავენ, არ მესმის, საერთოდ რისთვის მოვიდნენ ხელისუფლებაში.



## დიდთოვლობის გამო ბათუმში ყინულის სასახლე ჩამოიშალა

ობიექტის ჩამონგრევის მიზეზი გათბობის სისტემის მოუწესრიგებლობა გახდა.

აჭარის ფიგურული სრიალის ფედერაციაში აცხადებენ, რომ ქალაქის მერია სისტემის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ ინფორმირებული იყო, თუმცა შესაბამისი ზომები ვერ მიიღო.

თავის მხრივ, ბათუმის მერი ჯემალ ანანიძე აცხადებს, რომ სასახლის ჩამონგრევაზე პასუხისმგებლობა ობიექტის ადმინისტრაციას ეკისრება.

*„პირველი“*



## ჩხუბი პარლამენტში და ნაციონალების მიმართვა უსუფაშვილს

11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში ერთმანეთს უმრავლესობის ლიდერი სოსო ჯაჭვლიანი და ნაციონალი გია ბარამიძე დაუპირისპირდნენ. ჯაჭვლიანმა სიტყვით გამოსვლისას ბარამიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. **„ნუ ბლატაობ, შე ჩმორო“,** — „ქართული ოცნების“ წევრის ეს ფრაზა, ფიზიკური შეხლა-შემოხლის საფუძველი გახდა. ინციდენტის შემდეგ, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერებმა სხდომებზე დასწრებაზე უარი განაცხადეს, მოგვიანებით კი, პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართვა გაუგზავნეს: **„სოსო ჯაჭვლიანის მიერ განხორციელდა მძიმე პროვოკაცია. გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ამ ინციდენტის არა მხოლოდ ფორმას და პარლამენტარის მიუღებელ მოქმედებას, რაც თავისთავად აღმაშფოთებელია, არამედ მის შინაარსს. შემაშფოთებელია, რომ პარლამენტის წევრი ჯაჭვლიანი ღიად იცავდა კრიმინალური ავტორიტეტების პოზიციას. მეტიც, ის მათი სახელით საუბრობდა შურისძიებაზე არა მხოლოდ ყოფილი შს მინისტრის და მისი ოჯახის, არამედ მთლიანად ოპოზიციური ძალის მიმართ. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ ამით საქართველოს პარლამენტის წევრი დაუფარავად შეუერთდა მუქარას, რომელიც შს ექსმინისტრის მიმართ არაერთხელ გამოუთქვამთ კრიმინალური დაჯგუფების წევრებს. ამავე გამოსვლაში იყო კუთხური შუღლის გაღვივების პირდაპირი მცდელობა, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. გთხოვთ, ღიად და მკაფიოდ დააფიქსიროთ პოზიცია ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით და განხორციელებულ პროვოკაციაზე მოახდინოთ ადეკვატური და დროული რეაგირება“.**

*„ვერსიანიუსი“*

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# გადამამუშავებელი საწარმო მოყინულ მანდარინსაც ჩაიბარებს!

**წარმატებული რთვლის შემდეგ ქვეყანა ლამის „ციტრუსის რევოლუციის“ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. აჭარელი ფერმერები, რომლებისთვისაც ციტრუსი შემოსავლის ისეთივე წყაროა, როგორც კახელი გლეხისთვის ყურძენი, ცენტრალური ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვენ. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ წელს რუსეთის ბაზარი, ღვინის გარდა, სხვადასხვა სახის ხილისთვისაც გაიხსნებოდა. როგორც კი აჭარელებმა ციტრუსის მოსავალი აიღეს, რუსეთმა საექსპორტოდ განსაკუთრებული ხარისხის პროდუქტი მოითხოვა. შედარებით დაბალხარისხიან ციტრუსს კი რეგიონში სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი მიმღები პუნქტები არ იბარებენ. საბოლოოდ, ამ პრობლემას უამინდობაც დაერთო, დიდთოვლობის გამო, მოკრეფილი ციტრუსი საექსპორტოდ ვერ გააქვთ, მოუკრეფავი კი იყინება.**

რა პრობლემები შეექმნათ ადგილობრივ ფერმერებს, რატომ შეფერხდა ციტრუსის რთველი და როგორ დაეხმარება ცენტრალური ხელისუფლება აჭარელებს?



## აჭარელი გლეხები სახელმწიფო სუბსიდიას ითხოვენ

ეკონომიკის ექსპერტი **ვაჟა ბერიძე** წარმოშობით აჭარელია და კარგად იცის, რა პრობლემები შეექმნათ ადგილობრივ ფერმერებს. „ვერსიასთან“ საუბრისას, ბერიძემ აღნიშნა, რომ ციტრუსის მწარმოებლების მდგომარეობა დიდთოვლობამ დაამძიმა, რადგან მოსავლის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ დაუკრეფავია: **„პრობლემა მხოლოდ უამინდობა არ არის — წელს არ ჩანს კლიენტურა, რომლებიც ციტრუსს შეისყიდდნენ და უკრაინასა თუ ყაზახეთში, საკუთარი ინიციატივით გაიტანდნენ. შარშანდელთან შედარებით, ციტრუსის მოსავალი გაორმაგებულია, მაგრამ აჭარაში ამაზე დიდი რაოდენობის მოსავალიც აუღიათ, ხელისუფლებას კი პროდუქტის გასაღების პრობლემა არ ჰქონია. მეტიც, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ციტრუსის სტანდარტის პრობლემაც კი არ დამდგარა აჭარაში. წელს კი, განსაკუთრებული ხარისხის მანდარინს ითხოვდნენ. შედარებით დაბალხარისხიან პროდუქტს არ იბარებდნენ. სულ სამი სახის სტანდარტი არსებობს: უმაღლესი ანუ „სუპერი“, საშუალო და დაბალი ანუ „ენესი“. პრობლემა სწორედ „ენესის“ ხარისხის მანდარინის გამო შეიქმნა, რაც მოსავლის საკმაოდ დიდ რაოდენობას შეადგენს“.**

ვაჟა ბერიძის თქმით, აჭარაში, ციტრუსის მოსავალთან დაკავშირებულმა პრობლემამ ცენტრალური ხელისუფლების დეზორგანიზებულობა გამოავლინა. ექსპერტი აცხადებს, რომ სასოფლო-სამეურნეო ბარათების საშუალებით, აჭარელებმა შეძლეს ბაღების 3-4-ჯერ შეწამლვა და შესაბამისად, მოსავლის რაოდენობის გაზრდა: **„ეჭვი ჩნდება, რომ სასოფლო-სამეურნეო ბარათები ფულის ფლანგვა იყო. ამ თანხით, ციტრუსის გადამამუშავებელი 2-3 საწარმო რომ დაეფინანსებინათ, უკეთესი იქნებოდა. ეს პრობლემა ცენტრალური ხელისუფლების უნიათობამ წარმოქმნა. შარშან და შარშანწინ, აჭარელებმა ციტრუსის გასაღება რომ ვერ შეძლეს, პროდუქტი ზღვაში ჩაყარეს. ერთ დროს აყვავებულ მხარეში, ახლა საკმაოდ მძიმე სოციალური მდგომარეობაა. აჭარელი ფერმერები იმედგაცრუებულები არიან, მაგრამ ანტისახელმწიფოებრივად არ მოიქცევიან. ისინი სახელმწიფოსგან ისეთივე სუბსიდიებს ითხოვენ, როგორც კახეთში, რთველის დროს იყო“.**

## რატომ შეიქმნა პრობლემა პავილიონებში?

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ აჭარის რეგიონში, ადგილობრივ მეწარმეებს სახელმწიფო მიწები სიმბოლურ ფასად გადასცეს. ამ მიწებზე, კერძო მეწარმეებს საერთაშორისო სტანდარტების, ციტრუსის მიმღები პუნქტები, ანუ პავილიონები უნდა მოეწყოთ. ბათუმსა და ქობულეთში, დაახლოებით, 36 პავილიონია, სადაც გადაარჩევენ და მუყაოს, პლასტმასისა და ხის ყუთებში შეფუთავენ ხილს. ჩანს, მომავალში, ევროკავშირის წევრობა და ქართული პროდუქციის ევროპაში ექსპორტი, ქვეყანას არც ისე „იაფი“ დაუჯდება. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ზუსტად ერთი წელია, რომ საქართველომ ევროკავშირის ყველა ტექნიკური მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ტექნიკურ ბარიერებში იგულისხმება, როგორც სურსათის უსაფრთხოების წესების, ასევე შესაბამის ლაბორატორიებში ევროკავშირში მიღებული ნორმების დაცვა. სავარაუდოდ, აჭარაში შექმნილი პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი ესეც შეიძლება იყოს, ოღონდ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მოსახლეობას ევროკავშირის სიძულვილი არ გაუჩნდეს. პირიქით, მთავრობამ საკუთარ ფერმერებსა და მეწარმეებს ხელი უნდა შეუწყოს, რომ ისინი ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ გადავიდნენ იმ სტანდარტებზე, რასაც ევროკავშირი ითხოვს.

მიუხედავად ამისა, გაუგებარია, რა მიზეზით მოითხოვა რუსეთმა აჭარელი გლეხებისგან სუპერსტანდარტის, ევროპული ხარისხის ციტრუსი? ან რა პრობლემა შეექმნათ ფერმერებს პავილიონებში? „ვერსია“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის თანაშემწეს, **როინ გოგაძეს** დაუკავშირდა.

**— ბატონო როინ, ფერმერები „ციტრუსის რევოლუციით“ იმუქრებოდნენ, ეს პრობლემა რატომ შეიქმნა?**

— იმიტომ, რომ პავილიონები, სადაც ციტრუსი უნდა ჩააბარონ, უშუქობის გამო, რამდენიმე დღე უმოქმედოდ იყო. ორი გადამამუშავებელი საწარმოდან ერთი, არასტანდარტულ, უხარისხო ციტრუსსაც იბარებს, მეორე — მხოლოდ სტანდარტულს და პრობლემაც ამის გამო შეიქმნა. ახლა შუქი უკვე გვაქვს აჭარაში და პავილიონებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ.

**— აჭარელი ფერმერების უკმაყოფილება მხოლოდ უშუქობას არ უკავშირდება!**

— დიახ. პავილიონები ამოქმედდა, მაგრამ მათ არ გამოუჩნდათ კერძო შემკვეთები, რომლებსაც უნდა გაეტანათ ციტრუსი საექსპორტოდ.

**— ზაფხულში რუსულ დელეგაციასთან ხომ შეთანხმდით, რომ ციტრუსს ექსპორტზე გაიტანდით. რა მოხდა, გადაიფიქრეს?**

— არა, 14 000 ტონა ციტრუსი უკვე გატანილია ექსპორტზე. წელს, მთლიანობაში, 110 000 ტონა მოსავალს ველოდებით. თავდაპირველად, რუსეთმა განსაკუთრებული ხარისხის ციტრუსი მოგვთხოვა, მაგრამ ეს საკითხი დარეგულირდა და ჩვეულებრივი ხარისხის ციტრუსი გადაიტვირთა. 2 გემი უკვე გავიდა ექსპორტზე. გამოდარებას ველოდებით, რომ 1 000-ტონიანი გემითაც გავიტანოთ.

**— დიდთოვლობის გამო, ციტრუსი ხეებზევე გაიყინა და აჭარელ ფერმერებს კომპენსაციას არ მისცემთ?**

— კომპენსაციის გაცემა არ იგეგმება, მაგრამ მოყინულ ციტრუსს, როგორც არასტანდარტულ, „ენესის“ ხარისხის პროდუქტს, გადამამუშავებელი საწარმო ჩაიბარებს.

## 12 000 000-ლარიანი სახელმწიფო სუბსიდია აჭარას

„ვერსიას“ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე, **დავით ნატროშვილი** ესაუბრება.

**— ბატონო დავით, აჭარელი ფერმერები ითხოვენ, რომ სახელმწიფომ ციტრუსთან დაკავშირებითაც იგივე სუბსიდია აამოქმედოს, როგორც კახეთში, ყურძნის ჩაბარების დროს.**

— საქართველოს მთავრობამ ციტრუსის სეზონისთვის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო. დაახლოებით, 8 თვის წინ, ჩვენს მეზობელ, პარტნიორ ქვეყნებში რამდენჯერმე ჩავედით. საერთოდ, პროდუქტის განბაჟება სარეზერვო ფასიდან ხდება და არა მისი რეალური ღირებულებიდან, ამიტომ პარტნიორ ქვეყნებს ვთხოვეთ, სარეზერვო ფასები შეემცირებინა. უკრაინამ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა განბაჟების ფასი შეამცირა. გარდა ამისა, სახელმწიფომ დიდი სამუშაო ჩაატარა, რათა აჭარაში ციტრუსის დამამზადებელი ობიექტები, ანუ პავილიონები შეექმნა. ამჟამად, რეგიონში 36 პავილიონია, სადაც ციტრუსს იბარებენ და სპეციალურ ყუთებში აფასოებენ. წელს პირველად მოხდა, რომ ციტრუსის შესაფუთ მუყაოს, პლასტმასისა და ხის ყუთებსაც ადგილზე, ამ პავილიონებში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ამზადებენ. ძალიან დიდი მიღწევაა, რომ ქართული მანდარინის ექსპორტი რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ბაზრებზე სწორედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხორციელდება...

**— უკაცრავად, მაგრამ ამ პავილიონებში მხოლოდ საუკეთესო, „სუპერ“ ხარისხის პროდუქტს იბარებენ. რატომ?**

— არასტანდარტული მანდარინი „ენესის“ ხარისხს განეკუთვნება, რომელიც მხოლოდ გადამამუშავებელ წარმოებაში გამოიყენება. ქობულეთში დიდი, გადამამუშავებელი საწარმო უკვე მოქმედებს, რომელმაც შარშან 10 000 ტონაზე მეტი „ენესის“ ხარისხის მანდარინი ჩაიბარა. ჩვენი ინფორმაციით, წელს ეს საწარმო 20 000 ტონამდე მანდარინს ჩაიბარებს. წელს, აჭარაში ორჯერ დიდი მოსავალია. თუ შარშან 55 000 ტონაზე მეტი ციტრუსი მოვიდა, ახლა 110 000 ტონა მოსავალს ელოდებიან. ამას გურიაც ემატება. წინა კითხვას დავუბრუნდები და აგიხსნით, როგორ ეხმარება სახელმწიფო აჭარელ ფერმერებს. მაგალითად, 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინში, გადამამუშავებელი საწარმო 10 თეთრს იხდის, სახელმწიფო სუბსიდია, რომელსაც ამ შემთხვევაში, აჭარის მთავრობა გასცემს, 10 თეთრსაც ამატებს. შესაბამისად, ფერმერი 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინში, 20 თეთრს იღებს. მეტიც, სახელმწიფომ 12 000 000 ლარი გამოყო სუბსიდიის სახით, რათა გლეხებს პირდაპირი დახმარება გაუწიოს. მაგალითად, 1 კგ. სტანდარტული ხარისხის მანდარინზე, თითოეული გლეხი 15 თეთრს მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ 1 კგ. მანდარინს პავილიონში 35 თეთრად ჩააბარებს, სახელმწიფო სუბსიდიის სახით, 15 თეთრსაც დაუმატებს და რეალურად, ფერმერი 1 კგ-ში 50 თეთრს მიიღებს.

**— აჭარელი ფერმერები ზუსტად იმას ამბობენ, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე, წელს პირველად უთხრეს უარი „ენესის“ ხარისხის მანდარინის ჩაბარებაზე...**

— ტყუილია, თითქოს „ენესის“ ხარისხის ციტრუსს არ იბარებენ, რადგან ეს პროცესი ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. აჭარელი ფერმერები შედარებით დაბალხარისხიან ციტრუსსაც აბარებენ. როგორც გითხარით, „ენესის“ ხარისხის მანდარინს მხოლოდ გადამამუშავებელი ქარხანა იბარებს, რომელიც უკრაინული ინვესტიციაა. აჭარაში მეორე, ქართულ-თურქული საწარმოც მოქმედებს, სადაც 400-მდე ადამიანი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. სხვა კომპანიებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რათა აჭარაში კიდევ ერთი გადამამუშავებელი საწარმო შეიქმნას.

**— ციტრუსის მოსავლის ჩაბარებასთან დაკავშირებით პრობლემა რატომ შეიქმნა?**

— წელს, ციტრუსის ძალიან დიდი მოსავალი იყო თურქეთში, მაროკოსა და ესპანეთშიც. რა თქმა უნდა, ქართულ ციტრუსს თავისი მყიდველი ჰყავს, უკრაინელებსაც მოსწონთ, რუსებსაც, მაგრამ ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში დიდი მოსავლის გამო, ციტრუსის ფასი დავარდა; ამას უამინდობაც დაემატა, რამაც დამატებითი პრობლემები შექმნა. რამდენიმე დღეა, სამი დიდი გემი დგას ბათუმის პორტში, რადგან მოყინულია და შტორმია. ახლა თოვლია, მაგრამ ერთი კვირის წინაც შტორმი იყო ბათუმში. უამინდობის გამო, პროდუქტით დატვირთული უამრავი მანქანაა გაჩერებული ფოთსა და ბათუმში, რომლებიც გემს ელოდებიან. სინოპტიკოსებს უკვე ვესაუბრეთ, გვითხრეს, რომ ორ-სამ დღეში გამოიდარებს და ციტრუსს ექსპორტზე გავიტანთ.

ვერსიანიუსი

# თურქეთსა და საქართველოს შორის, ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით, სამთავრობო კომისია შეიქმნება

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, თურქ კოლეგასთან, თანერ ილდიზთან დახურული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კომისია იმ მნიშვნელოვანი ობიექტების შესახებ იმსჯელებს, რომელიც საქართველოში განხორციელდება. მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი ქვეყანაში ახალი ინვესტიციების განხორციელებასა და უკვე არსებული კომპანიების მუშაობას, ასევე ახალი ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობას შეეხო: **„ჩვენი ქვეყნის მიმართ ძალიან დიდი ინტერესია უცხოელი ინვესტორების მხრიდან, ენერგეტიკული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. ვშიშობთ, რომ ელექტროგადამცემი ხაზი და ქვესადგური, რომელიც დღეს გაიხსნა, უახლოეს მომავალში ვერ შეძლებს საქართველოში სრულად წარმოებული ელექტროენერგიის თურქეთსა და თურქეთის გავლით ევროპაში გატანას და ამასთან დაკავშირებით, სამომავლო პროექტებზე იყო საუბარი – სად უნდა გაკეთდეს ახალი ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები. ასევე, შევთანხმდით, შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც ამ მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ იმსჯელებს“.**



კალაძის თქმით, თურქეთსა და საქართველოს შორის ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით სამთავრობო კომისია უახლოეს მომავალში შეიქმნება.

*„პირველი“*

# ბრძოლა, რომელსაც ყოველთვის აქვს აზრი — თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში უსახლკაროთა თავშესაფრები იხსნება

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლამ უსახლკაროების თავშესაფრების გახსნისთვის შედეგი გამოიღო. მთავრობა დარწმუნდა, რომ ამ ნაბიჯის გარეშე მიუსაფარი ადამიანები ცივ ზამთართან ერთი ერთზე რჩებოდნენ და ამ პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათაშორისმა ჯგუფმა პირველი გადაწყვეტილებები მიიღო. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ, ეკონომიკის სამინისტრო, თბილისის მერიასთან ერთად, მოიძიებს და გამოყოფს ტერიტორიას, სადაც რამდენიმე ვაგონი და კარვები განთავსდება, რათა სასწრაფოდ მოეწყოს მიუსაფარ ადამიანთა საცხოვრისები. ეს, პირველ რიგში, იქნება იმ ხალხისთვის, რომლებსაც ღია ცისქვეშ ღამის გათევა უწევთ. მათ ასევე უზრუნველყოფენ ცხელი საკვებით, სამედიცინო დახმარებითა და სხვა დამატებითი საჭიროებებით.**



სამინისტროს ინფორმაციით, თავშესაფრის გარეშე მყოფ ადამიანთა რაოდენობისა და მათი შეკრების ადგილის შესახებ ძირითადი საინფორმაციო ბაზა არსებობს. მიუხედავად ამისა, არც ერთი ადამიანი ღია ცისქვეშ რომ არ დარჩეს, პროცესში ჩაერთვება საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრიც. გადამოწმდება 112-ზე შესული ინფორმაციაც და დადასტურების შემთხვევაში, უსახლკარო ადამიანებს გადაიყვანენ დროებით თავშესაფარში.

დავით ნარმანიას ინფორმაციით, მიუსაფართა დახმარების საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებსაც შეეძლებათ ჩართვა. მინისტრის თქმით, დედაქალაქის გარდა, თავშესაფრები ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავშიც გაიხსნება. ყველა სამინისტროს შეუძლია, სხვადასხვა საშუალების მობილიზება მოახდინოს და თანხის გაღების გარეშეც მიიღოს მონაწილეობა პრობლემის გადასაჭრელად: **„თუ დამატებით ფინან-**



**სური სახსრები გახდა საჭირო, მისი მობილიზებაც მოხდება“.**

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, უწყებათაშორისი ჯგუფი, გარდა პრობლემის მოკლევადიანად გადაჭრისა, საშუალოვადიან და ხანგრძლივ შედეგზე გათვლილ გეგმებზეც მუშაობს: **„მოვიძიებთ კაპიტალურ შენობას. მის სწრაფ ადაპტაციას და თერმოიზოლაციას მოვახდენთ, განვათავსებთ საწოლებს და შევქმნით საცხოვრებელ პირობებს“.** სერგეენკოსვე ინფორმაციით, პროცესში ჩაერთვებიან სოციალური აგენტები და სოციალური მუშაკები, ექიმები და ექთნები, რათა ამ ხალხის სამედიცინო უზრუნველყოფა მოხდეს.

ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის უფროსი **ზურაბ უტიაშვილი** განმარტავს, რომ მიუსაფართა თავშესაფარში განთავსებულ პირებს სამედიცინო დახმარებას ადგილზევე გაუწევენ. თავშესაფრებთან იქნება სადღეღამისო სამორიგეო ამბულატორიული პუნქტი, რომელიც თავშესაფარში მყოფ პირებს მოემსახურება: **„ჯანდაცვის სამინისტრო ყველა დასახულ ამოცანას შეასრულებს. რა თქმა უნდა, ეს შეეხება როგორც სოციალური, ასევე ჯანდაცვის კუთხით არსებული პრობლემების მოგვარებას. ქუჩაში დარჩენილი ადამიანების უმრავლესობა, სავარაუდოდ, არ იქნება ჯანმრთელი და საჭირო იქნება მათი გამოკვლევა, საჭიმკურნალობა. განთავსების ადგილებში განხორციელდება მუდმივი მონიტორინგი. ადგილზევე იქნება სადღეღამისო სამორიგეო ამბულატორიული პუნქტი, რომელიც მუდმივმოქმედ რეჟიმში დაეხმარება მათ. ასევე მიმაგრებული იქნება სასწრაფო გადაუდებელი დახმარების მანქანა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტაციონარში გადაყვანას უზრუნველყოფს“.**

ამინდის გაუარესებისა და ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის გამო, უწყებათაშორისი საგანგებო სამუშაო ჯგუფი პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ორი დღის წინ შექმნა და მას მიუსაფარი მოქალაქეებისთვის გადაუდებელი პრობლემების სასწრაფოდ მოგვარება დაავალა. პირველ შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი დავით ნარმანია, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ეკონომიკის, ფინანსთა და ენერგეტიკის მინისტრების მოადგილეები ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, ჯგუფის მუშაობაში ასევე ჩაერთვებიან შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და თბილისის მერია, ჯგუფის საქმიანობას კი მეთვალყურეობას პრემიერი უშუალოდ გაუწევს.

შეგახსენებთ, რომ უსახლკაროებისთვის დროებითი თავშესაფრის მოწყობას არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“ აპირებდა, რასაც საპატრიარქო შეეწინააღმდეგა. ამის შემდეგ, ძალადობის საფრთხის გამო, „იდენტობამ“ ნაბიჯის გადადგმა დროებით გადაიფიქრა და კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ მიუსაფართა თავშესაფრის პროექტზე 22 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფუძნებულ ახალ ორგანიზაციას ემუშავა.

ბოლო დღეებში ცნობილი გახდა, რომ ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე სიცივისგან უსახლკარო ადამიანი გარდაიცვალა. სამოქალაქო საზოგადოებამ გაავრცელა მანიფესტი და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, მოქალაქეებისთვის სასწრაფოდ გაეხსნა თავშესაფარი: **„ასეთი ადამიანები მრავლად არიან თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში. ტემპერატურის მკვეთრ ვარდნასთან ერთად, ქუჩაში მყოფი უსახლკაროების გაყინვით დაღუპვის რისკი იზრდება. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მიიღოს გადამჭრელი ზომები ქუჩაში დარჩენილთა დასახმარებლად“.**

სოციალურ ქსელში მანიფესტზე ხელმოწერის კამპანია დაიწყო, რომელსაც რამდენიმე საათში ათასობით მოქალაქე შეუერთდა. ახალმა მთავრობამ სამოქალაქო სექტორისგან გამოწვევა მიიღო და პირველი, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

რას ფიქრობენ ხელისუფლების ბოლო გადაწყვეტილებაზე უშუალო ადრესატები, გარემოებათა გამო ქუჩაში დარჩენილი ადამიანები და რა მოლოდინი აქვთ? ქაშუეთის ეკლესიის უკან, 9 აპრილის ბაღში, ერთადერთი კარავი ისეთი „დაგმანულია“, შესასვლელს ძლივს ვპოულობ. **ბექან ბექანიშვილი** აქ სექტემბრის დასაწყისიდან აფარებს თავს. მთავრობის ბოლო გადაწყვეტილება ახარებს და იმედოვნებს, რომ საბოლოოდ, ქუჩაში დარჩენილი ადამიანებს კარვებისა და ვაგონების ამარა არ დატოვებენ: **„სასწრაფოსა და პატრულს სარბენი მაინც აღარ ექნება, რომ ყოველდღიურად ეს ხალხი გაყინვას გადაარჩინონ. ადამიანებს ეცოდინებათ, საღამოს დასაძინებლად სად შეაფარონ თავი, სადაც ცხელი ჩაი მაინც დახვდებათ. ისიც მნიშვნელოვანია, რა იქნება საბოლოო შედეგი — რამენაირად, მყარი თავშესაფრით უნდა დაგვაკმაყოფილონ. როდემდე უნდა იყოს ეს კარვები და ვაგონები? ქალაქის ნებისმიერ უბანში არის შენობები, რომლის შერემონტება შეიძლება“.**

**ნანა ჯღამაძე** კარავში გახსნის დღიდან იმყოფება. შემოგვჩივლა, რომ მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, მათთვის არავის უცნობებია: **„ერთი-ორი ადამიანის გარდა, ყურადღებას არავინ გვაქცევს. ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას (არც კი ვიცით, რომელია, ტელეფონის ნომერიც არ გვაქვს) დღეში ერთხელ მანქანით ათი პური და ერთი ქვაბი საჭმელი მოაქვს, ხოლო უცხოური საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი, პოლონელი პადრე ვიტოლდ ვიშოვსკი ჩვენი მამამარჩენალია — საწოლები, შეშა, მედიკამენტები, ტანსაცმელი... მოაქვს. შაბათ-კვირას, უქმე დღეებში, როცა საჭმელსაც არავინ გვაწვდის, ეს კაცი მაინც გვაქცევს ყურადღებას. ყველასთან მასზე ვსაუბრობთ და სამწუხაროდ, არსად ახსენებენ“.**

**ალიკა ხარატიშვილი** აქ იანვრიდანაა, ამბობს, რომ მთავრობას, მერიას მათთვის ყურადღება არ მიუქცევია: **„ელემენტარულად, შუქი არ გვაქვს, რომ ერთი ნათურა მაინც ავანთოთ. აქ 12 კაცი ვცხოვრობთ. საღამოობით, პატრულს დამატებით მოყავს ხოლმე გაციებული, ნასვამი ადამიანები. არც კითხულობენ, ადგილი გვაქვს თუ არა, როგორმე შეიფარეთო. ამასწინ ისეთი მოიყვანეს, კინაღამ ხელში ჩაგვაკვდა. სასწრაფოს დავუძახეთ და როგორღაც მოვასულიერეთ. რაკი ახალ თავშესაფრებს აკეთებენ, ჩვენც მოგვაქციონ ყურადღება, ცხელი ჩაი არც ჩვენ გვაწყენს. ვთხოვთ, უსახლკაროებს კატეგორიებად ნუ დაყოფენ“.**

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი **გია კაკაჩია** გვეუბნება, რომ ახალი თავშესაფრების ამოქმედების შემდეგ 9 აპრილის ბაღში არსებული კარავი ალბათ დაიკეტება, რადგან იქ შესაბამისი პირობები არ არის: **„თავშესაფრებს გარკვეული დროით ვხსნით. ის უფასო სასადილოს არ უნდა დაემსგავსოს. 9 აპრილის ბაღში, მარტო კარავია. ჩვენ ალტერნატიულ კარვებს ვაკეთებთ, სადაც უსახლკარო ადამიანები ცხელ ჩაის, საკვებს მიიღებენ, გათბობის პრობლემა არ ექნებათ, ამიტომ 9 აპრილის ბაღის კარავი, ალბათ, უნდა დაიკეტოს. ჩვენი მიზანია, არც ერთი უსახლკარო არ დარჩეს ღია ცისქვეშ.**

**სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების ზუსტი არ ვიცით, ორსამ დღეში თავშესაფრები მზად იქნება და თუ არ გვეყოფა, დამატებით საშუალებებს გამოვიყენებთ“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელი **ირაკლი ვაჭარაძე** მოხარულია, რომ მთავრობა მათი და სამოქალაქო საზოგადოების თხოვნას მყისიერად გამოეხმაურა და ასეთი მაღალი ჩართულობით, რამდენიმე ადგილზე მიუსაფართა თავშესაფრის გახსნას გეგმავს. მისივე თქმით, ოცზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ასევე ერთობლივად აარსებს უსახლკაროთა თავშესაფარს: **„ვქმნით არასამთავრობო ორგანიზაციას, უსახლკაროთა დახმარების ცენტრს, რომელიც ამ სფეროს პრობლემებს გამოიკვლევს, თავადაც გააკეთებს თავშესაფარს, რათა მთავრობასა და საზოგადოებას დადებითი გამოცდილება გაუზიაროს და იურიდიულ კონსულტაციასაც გასწევს — მთავრობას მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას, დაეხმარება, აუხსნის, გააკონტროლებს მას. ვენდობით, მაგრამ გადავამოწმებთ, რამდენად ეფექტურად შეასრულებს მთავრობა დაპირებას. სად იქნება თავშესაფარი, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ორგანიზაცია ხვალვე დაარსდება, წესდება უკვე მომზადებულია“.**

თავის მხრივ, სახალხო დამცველი მიესალმება პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას, მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე საგანგებო ჯგუფის შექმნის შესახებ. **უჩა ნანუაშვილის** განცხადებით, უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: **„10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღეს, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეჯამებისას, ხელისუფლების წინაშე არსებულ ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად სწორედ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრისზე უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გამოვყავი. მიმდინარე წლის 14 ნოემბერს, როდესაც ორგანიზაცია „იდენტობის“ ინიციატივა თავშესაფრის მოწყობასთან დაკავშირებით კრიტიკის საგანი გახდა, ხაზი გავუსვით, რომ უსახლკაროთა პრობლემის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის პირობებში, მისასალმებელია არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივა. ამავე დღეს, მოვუწოდე მთავრობასა და თბილისის მერიას, ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით გადაედგათ ქმედითი ნაბიჯები დროებითი თავშესაფრების მოსაწყობად, უსახლკარო პირთა გაყინვის რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად. მივესალმები მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულების შემთხვევაშიც, შესაძლებელია, დროებით მოგვარდეს უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი. ამასთან, მიმაჩნია, რომ პრობლემის გრძელვადიან პერსპექტივაში გადაწყვეტისთვის, აუცილებელია ამ მიმართულებით კომპლექსური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის, უსახლკაროთა აღრიცხვა, ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, საბინაო ფონდის შექმნა...“**

მაშ ასე, სამოქალაქო სექტორის აქტივობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა — ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! იმედია, სიცივისა და შიმშილის გამო, ჩვენს ქვეყანაში ადამიანების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღარ დადგება.



# ჰოროსკოპი 13 დეკემბერი

**ვერძი** — დიდია ალბათობა, საქმიან ან იურიდიულ გაურკვევლობაში მოხვდეთ. დასვით რაც შეიძლება მეტი კითხვა, რათა ვითარებაში უკეთ გაერკვეთ და არსებულ მცირე უსიამოვნებასაც ადვილად მოაგვარებთ.

**კურო** — ბუნებირობა ნამდვილად არ გაწყენდათ, მით უმეტეს, რომ გარშემომყოფებისგან დასამალი არაფერი გაქვთ. უკარება, ცივი ადამიანის იმიჯის შექმნა აუცილებლობას არ წარმოადგენს, რადგან ისეთი ადამიანების გარემოცვაში ხართ, ვისთანაც თამაში საჭირო არ არის.

**ტყუპები** — ტყუპებს სურვილი აქვთ, ცხოვრება რადიკალურად შეცვალონ, მაგრამ ამით მხოლოდ საბოლოოდ გააფუჭებენ ვითარებას. სჯობს, ემოციები მოთოკოთ და დღე ჩვეულ რეჟიმში გაატაროთ.

**კირჩხიბი** — შესაძლოა, დიდი ძალისხმევა დაგჭირდეთ სტრესთან საბრძოლველად, რაც იმედგაცრუებითაა გამოწვეული. ნუ ეცდებით ხელის ერთი მოსმით პრობლემების მოგვარებას, შესაფერის დროს დაელოდეთ, ყველაფერი ძველებურად დატოვეთ და ვითარება თავისთავად დაუბრუნდება ჩვეულ კალაპოტს.

**ლომი** — ცნობისმოყვარეობა შეგიპყრობთ, უამრავ ინფორმაციას მიიღებთ, თუმცა მიმართულების მიცემას მაინცდამაინც ნუ იჩქარებთ. გახსოვდეთ, რომ გარკვეული ფაქტების გამჟღავნება, ნეგატიურად აისახება ზოგიერთ ადამიანთან თქვენს ურთიერთობაზე.

**ქალწული** — მაქსიმალურად ფრთხილი უნდა იყოთ, მით უმეტეს, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც ფინანსებს ეხება. თუ გაქვთ საშუალება, სჯობს, ასეთი საქმეები სხვა დროისთვის გადადოთ.

**სასწორი** — როგორც ჩანს, დადგა დრო, დიდი ხნის პრობლემა მოაგვაროთ. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ მდგომარეობიდან მარტივად ვერ გამოხვალთ. ურიგო არ იქნება, თუ ახლობელ ადამიანებს მიმართავთ რჩევისთვის და მათ აზრსაც გაითვალისიწნებთ.

**ღრიანკალი** — თქვენი თავისუფლება, მეტ-ნაკლებად, შეიზღუდება. მოგიწევთ ისეთი საქმის კეთება, რაც დიდად არ გსიამოვნებთ, მაგრამ ვერაფერს შეცვლით — ხშირად, ვალდებულება და სურვილი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

**მშვილდოსანი** — თქვენი ჯერია სხვის ნერვებზე თამაშისა. ისარგებლებთ თუ არა ამ შესაძლებლობით, ეს მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია, მით უმეტეს, რომ არც ისინი დაგრჩებიან ვალში და პასუხს აუცილებლად დაგიბრუნებენ.

**თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს, შესაძლოა, მიაჩნდეთ, რომ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენეს, თუმცა შანსი გაქვთ, მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო შტრიხი შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში.

**მერწყული** — ჭაობი, რომელშიც აქამდე იყავით ჩაფლული, უკვე სიმპათიურ ნაკადულად გეჩვენებათ, რადგან პრობლემებსა და უსიამოვნებებს დასასრული არ უჩანს. ეცადეთ, ემოციები გააკონტროლოთ და დეპრესიაში არ ჩავარდეთ.

**თევზები** — თქვენს მიმართ ყველა ისეთი დამთმობი იქნება, ეჭვი გაგიჩნდებათ, ეს ცუდის მანიშნებელი ხომ არ არის, მაგრამ ტყუილად ნერვიულობთ, სჯობს, მომენტით ისარგებლოთ, ვიდრე არ გადაუფიქრებიათ.

# შეცდომის გამო სიღატაკეში გაიზარდა



იაპონიაში ერთ-ერთი კლინიკა მამაკაცს, 60 წლის წინანდელი შეცდომის გამო, 380 ათას დოლარის კომპენსაციას გადაუხდის. ტოკიოს საოლქო სასამართლომ დაწესებულებას 38 მილიონი იენის გადახადა დააკისრა ადამიანისთვის, რომელმაც სხვისი ცხოვრებით იცხოვრა, რადგან სამშობიაროში შეეშალათ და სხვა ოჯახს გაატანეს. ამ საბედისწერო შეცდომის გამო, მამაკაცმა მთელი ცხოვრება ღარიბ ოჯახში გაატარა, სადაც მეოთხე შვილი იყო. უსახსრობის გამო, მოზარდმა სკოლა მიატოვა და ქარხანაში მუშაობა დაიწყო, ცოტა ხნის წინ კი მამაკაცმა შეამჩნია, რომ არ ჰგავს ახლობლებს. მისი ეჭვები დაადასტურა დოკუმენტებმა სამშობიაროდან და დნმ-ის ანალიზმაც. ღარიბი ოჯახის ნამდვილი შვილის ბედი კი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა — მას არაფერი აკლდა, საუკეთესო განათლებაც მიიღო ძვირიან კერძო სკოლაში, უნივერსიტეტიც დაამთავრა და იაპონიის ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიაშიც დაიწყო მუშაობა.

# საუკუნის ქალიშვილი გათხოვებაზე ფიქრობს



107 წლის ჩინელი ქალბატონი მხოლოდ ახლა ფიქრობს ოჯახის შექმნაზე და 100 წლის საქმროს ეძებს. თუ ვან გუინის სარისკო იდეა წარმატებით განხორციელდა, ეს პირველი ქორწინება იქნება. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობაში ვანს ეშინოდა გათხოვების, მაგრამ ახლა იმაზე წუხს, რომ ნათესავებისთვის ტვირთად იქცა. 102 წლისამ ფეხი მოიტეხა და არანაირი სამუშაოს შესრულება არ შეუძლია. შესაძლოა, ვან გუინისთვის გათხოვება სასიკეთოც იყოს — როგორც მეცნიერი-გერონტოლოგები აღნიშნავენ, დღეგრძელობის ერთ-ერთი საიდუმლო სწორედ ბედნიერ ქორწინებაშია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დაეხმაროს ქალს გეგმის განხორციელებაში — 100 წლის საქმროს საპოვნელად, გუინს გაზეთში განცხადების გამოქვეყნება ურჩიეს, თავად კი ჩინეთის სხვა დღეგრძელ ადამიანებს დაუკავშირდებიან. შეგახსენებთ, რომ მეზობელ იაპონიაში დღეგრძელი ადამიანების რეკორდული რაოდენობაა, აქ 100 წელს მიღწეული 30 ათასამდე მოხუცი ცხოვრობს.

# გახდომაში იმპლანტანტი დაგეხმარებათ



შვეიცარიის ფედერალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა უნიკალური იმპლანტანტი შექმნეს, რომელიც წონის მატებას ეწინააღმდეგება და მადას აქვეითებს. სიახლე უკვე გამოსცადეს ჭარბწონიან მღრღნელებზე და როგორც მკვლევარები აცხადებენ, ახალმა მეთოდმა, შესაძლოა, კუჭის ბანდაჟირების (დაპარატავების) ოპერაცია ჩაანაცვლოს. იმპლანტანტი ასობით უჯრედისგანაა დამზადებული და ერთ კაფსულაშია მოთავსებული. გენ PPAR-ალფას მაღალი აქტიურობის წყალობით, უჯრედები რეაგირებს ცხიმზე სისხლის მიმოქცევის დროს, ათავისუფლებს პრამლინტიდს — ჰორმონალურ სიგნალს და შედეგად ქვეითდება შიმშილის გრძნობა.

# ღვინო კატებსაც ჩამოუსხეს



იაპონურმა კომპანიამ & ჲიფეს, რომელიც ცხოველების საკვებს აწარმოებს, ახალი პროდუქტი წარადგინა. ეს კატებისთვის განკუთვნილი ღვინოა, რომელსაც „მიაუ, მიაუ მოდერნი“ ეწოდება. ამ უჩვეულო პროდუქციის ავტორები აცხადებენ, რომ ცოტა ხნის წინ ბაზარზე „ძაღლების ღვინის“ გამოსვლის შემდეგ, მათ თხოვნით მიმართეს, რომ ანალოგიური პროდუქტი კატებისთვისაც შეექმნათ. ფისოების სასმელიც უალკოჰოლოა, სამაგიეროდ, ვიტამინებითაა გაჯერებული, შეიცავს პიტნას და კაბერნეს ჯიშის ყურძნის წვენს. მწარმოებელი აღნიშნავს, რომ როგორც წესი, კატებს არ უყვართ მსგავსი სასმელი, თუმცა მათი პატრონებისგან ღვინოზე უამრავ შეკვეთას ელოდებიან. მათი აზრით, ბევრი ისეთი ადამიანი მოიძებნება, რომელსაც საყვარელი კრუტუნა ცხოველისთვის სასმელის შეძენა მოუნდება, პატრონებთან ერთად მათაც რომ გაიზიარონ დღესასწაულის მხიარულება.



# ჰოროსკოპი 14 დეკემბერი

**ვერძი** — რაც უფრო მეტს იმუშავებთ, მით ნაკლები დრო დაგრჩებათ გარშემომყოფთა ნერვების მოსაშლელად. გულმოდგინედ მიუდექით საქმეს და საღამოს დამსახურებული დასვენებისთვის მოემზადეთ.

**კურო** — განსაკუთრებით მზრუნველი და მოსიყვარულე იქნებით. ორი ვარიანტი გაქვთ: ან გამოუტყდეთ საყვარელ ადამიანს გრძნობებში და ბედნიერად განაგრძოთ ურთიერთობა, ან ჩუმად გაეცალოთ და იტანჯოთ მარტოობაში.

**ტყუპები** — ისეთი ენერგიული ხართ, ნებისმიერს დაასაქმებთ, ვინც თქვენს თვალწინ გაიელვებს. თავადაც დაიღლებით და არც სხვებს მისცემთ განტვირთვის საშუალებას.

**კირჩხიბი** — შეეცადეთ, ისეთ ადამიანებთან გქონდეთ ურთიერთობა, ვინც სიამოვნებას განიჭებთ. კოლეგებთან საუბარში, შესაძლოა, ორიგინალური იდეები ჩამოაყალიბოთ, რაც მომავალში წარმატებით განხორციელდება.

**ლომი** — დღეს გაცნობილ ადამიანს დიდი ხნის მეგობარივით მოექეცით, რადგან გამორიცხული არ არის, ეს პიროვნება მომავალში მართლაც უახლოესი მეგობარი გახდეს.

**ქალწული** — ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. თქვენმა დაუფიქრებელმა საუბარმა, შესაძლოა, მათთან ურთიერთობა გაგიფუჭოთ. ამიტომ ნუ გარისკავთ და დაფიქრდით, რას ამბობთ.

**სასწორი** — დღე ორიგინალობით ნამდვილად არ გამოირჩევა, მაგრამ თუ მისი გალამაზება გსურთ, ეცადეთ, ყველა მოვლენა პოზიტიურად შეფასოთ. ასეთი დამოკიდებულება, გარშემომყოფებთა ურთიერთობასაც გაგიმარტივებთ.

**ღრიანკალი** — შეგიძლიათ, მშვიდად გაჰყევეთ ცხოვრების დინებას. აკონტროლეთ მოვლენები, მაგრამ ნუ ჩაერევით. სჯობს, ყველაფერს თვალი შორიდან ადევნოთ და თან მნიშვნელოვან საქმესაც არ მოცდეთ.

**მშვილდოსანი** — უფრო მეტი დაისვენეთ. შეადგინეთ საქმის სამოქმედო გეგმა და უკეთეს დროს დაელოდეთ მისი რეალიზებისთვის. გაითვალისიწნეთ, თანამშრომლებთან სამომავლო ურთიერთობისთვის, ჩამოყალიბებული პოზიცია გჭირდებათ.

**თხის რქა** — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს მარტო არ დარჩეთ. ნებისმიერი უმნიშვნელო საკითხი კოლეგებთან განიხილეთ, საღამოს კი მეგობრებთან ერთად იმხიარულეთ და სასიამოვნო ემოციებით დაიმუხტეთ.

**მერწყული** — იცოდეთ, რომ ოჯახის წევრები გასაჭირში არ მიგატოვებენ. თქვენც, შეძლებისდაგვარად, მეტი დრო გატარეთ ოჯახურ გარემოში, რაც სიმშვიდესა და ჰარმონიას მოგანიჭებთ.

**თევზები** — ბედნიერების საძიებლად ცხრა მთის იქით ნუ გაემართებით და ნურც გარშემომყოფებს აჩვენებთ თავს ისე, თითქოს ყველაზე უბედური ხართ. თავი ხელში აიყვანეთ და დაფიქრდით, როგორ უნდა მოაგვაროთ არსებული პრობლემები.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | 6 | 5 |
| 6 | 2 | | | | | | 3 | |
| | 7 | | 6 | | | | | |
| 5 | | 4 | 1 | | | | | |
| 3 | | 2 | | | | 5 | | 6 |
| | | | | | 4 | 3 | | 1 |
| | | | | | 7 | | 9 | |
| | 4 | | | | | | 7 | 2 |
| 8 | 3 | | | 2 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 8 | | | | | |
| 3 | | | | | | 2 | 9 | |
| | 2 | | 9 | 6 | 3 | | | 7 |
| | | 9 | | | 1 | | 6 | |
| 1 | | | 7 | | 6 | | | 2 |
| | 5 | | 2 | | | 4 | | |
| 5 | | | 6 | 3 | 2 | | 7 | |
| | 9 | 3 | | | | | | 4 |
| | | | | | 9 | 3 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | | | 3 | | 5 | | |
| | | | 2 | 1 | 4 | 9 | | |
| | | 3 | | | | | | |
| 9 | 3 | | | 4 | | 8 | 1 | |
| | | | | | | | | |
| | 1 | 7 | | 6 | | | 3 | 2 |
| | | | | | | 1 | | |
| | | 1 | 6 | 5 | 7 | | | |
| | | 8 | | 2 | | | 5 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 2 | 7 | | | 9 | | 5 |
| 1 | | | | 6 | | | | |
| | 5 | | | | | 4 | 1 | |
| | | 4 | | | 3 | | | 1 |
| | | | 5 | | 8 | | | |
| 3 | | | 2 | | | 8 | | |
| | 1 | 7 | | | | | 8 | |
| | | | | 2 | | | | 4 |
| 5 | | 9 | | | 6 | 1 | | 2 |



# ჰოროსკოპი
## 15 დეკემბერი

***ვერძი*** — თუ საქმეში ბოლომდე ვერ გარკვეულხართ, რჩევა ჰკითხეთ კომპეტენტურ პირებს. კითხვის დასმა სირცხვილი არ არის, აი შეცდომის დაშვება კი ნამდვილად არ გეპატიებათ.

***კურო*** — ვარსკვლავები კუროებს ურჩევენ, იმიჯი შეიცვალონ. ეს უფრო მეტ მომხიბვლელობას შეგძენთ და გარშემომყოფთა ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდებით.

***ტყუპები*** — ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი ისე შეგიპყრობთ, რომ შესაძლოა, ბევრ უსიამოვნებას გადაეყაროთ. ამიტომ იკმარეთ ის, რაც დღეს რეალურად გაქვთ.

***კირჩხიბი*** — ნუ ეცდებით გარშემომყოფების მოხიბვლას, დროთა განმავლობაში უკეთ გაგიცნობენ და თავად შეექმნებათ თქვენზე წარმოდგენა. მანამდე კი სჯობს, რეპუტაციას გაუფრთხილდეთ.

***ლომი*** — დღე პოზიტიური იქნება და ეს თქვენს ხასიათზეც აისახება. ოჯახურ გარემოში სასიამოვნოდ გატარებული დრო კი, კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ, რომ ცხოვრება მშვენიერია.

***ქალწული*** — ნაკლებად დატვირთული გრაფიკი გექნებათ, რაც არსებული პრობლემების მოგვარების საშუალებას მოგცემთ. ეს შანსი აუცილებლად გამოიყენეთ, რადგან ხვალ შესაძლოა გვიან იყოს.

***სასწორი*** — ძალების მოზღვავებას იგრძნობთ, რაც საშუალებას მოგცემთ, გეგმები განახორციელოთ, თუმცა ვარსკვლავები გირჩევენ, მეტი ყურადღება გამოიჩინოთ ფინანსებთან დაკავშირებით, რადგან მალე ხარჯის გაკონტროლებას ვეღარ შეძლებთ.

***ღრიანკალი*** — პრობლემებმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ კარიერაში, არსებულ ვითარებაში მოგიწევთ არჩევანის გაკეთება — ოჯახი ან ჯანმრთელობა, თუმცა გულს ნუ გაიტეხთ, მომავალში ყველა დანაკარგს სწრაფად აინაზღაურებთ.

***მშვილდოსანი*** — ყურადღებით მოეკიდეთ სამსახურის საქმეებს. პატარა შეცდომამაც კი, შესაძლოა, მთელი დღის ნაწვალები წყალში ჩაგიყაროთ, ამიტომ კონსულტაცია გამოცდილ და კომპეტენტურ კოლეგებთან გაიარეთ.

***თხის რქა*** — თუ გგონიათ, ამოწურეთ საკუთარი შესაძლებლობები, ძალიან ცდებით. თქვენში დიდი პოტენციალია, რის შესახებ წარმოდგენაც არ გაქვთ, ამიტომ აჯობებს, რესრუსი ბოლომდე გამოიყენოთ, ეს დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლაში.

***მერწყული*** — ვარსკვლავები დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ იმ მერწყულებს, ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვს, თუმცა დღე არანაკლებ პოზიტიურია სხვებისთვისაც. სამსახურში დაწინაურება გელით ან ხელფასს მოგიმატებენ.

***თევზები*** — შედარებით მშვიდი ატმოსფერო სამსახურში, შესაძლოა, მოულოდნელი და არცთუ სასიამოვნო ინფორმაციით დაირღვეს. დიდია ალბათობა, რომ მივლინებაში სხვა ქალაქში გაგგზავნონ, რაც ნამდვილად არ მოგეწონებათ.

# ფსალმუნი რეკორდულ ფასად გაიყიდა



ნიუ იორკის აუქციონზე ფსალმუნების პატარა წიგი რეკორდულ ფასად — 14 მილიონ დოლარად გაიყიდა, მყიდველს კი, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა, შეუძლია თქვას, რომ მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ბეჭდვური გამოცემის მფლობელია. წიგნი ფსალმუნების თარგმანს წარმოადგენს და 1640 წელს პურუტანულ კემბრიჯში, მასაჩუსეტსის შტატში დაიბეჭდა. ეს პირველი წიგნია, რომელიც ამერიკის ტერიტორიაზე ტიპოგრაფიული მეთოდით გამოიცა და ამ ფსალმუნების მხოლოდ 11 წიგნია შემორჩენილი. მათგან ორი ბოსტონის ერთ-ერთ ეკლესიას ეკუთვნოდა. სწორედ მათ გაყიდეს ერთი ეგზემპლარი, ღვთისმსახურებისთვის თანხების გამოძებნის მიზნით.

# საჭმელს თხევადი შემცვლელი ჩაანაცვლებს



ამერიკელმა სითხე გამოიგონა, რომელიც ადამიანს ყოველდღიური კვების აუცილებლობისგან გაათავისუფლებს. ატლანტელი მეწარმე, 24 წლის რობ რეინჰარდტი მომავალი წლისთვის საკუთარი ქმნილების კომერციულ წარმოებას აპირებს, რომელსაც Soylent უწოდა. რობი ამტკიცებს, რომ მისი გამოგონება ყველასთვისაა — ვისაც ალერგია, გულძმარვა აწუხებს, სურს, წონა ან ქოლესტერინის დონე აკონტროლოს, ანდა უბრალოდ, ღარიბია და არ აქვს საშუალება, ჯანსაღი საკვები შეიძინოს. „სასწაულებრივი" სითხე მოყვითალო ფერისაა და სამი ათეული ინგრედიენტისგან შედგება: შვრიის ბურღული, უჯრედისი, ბრინჯის ცილა და სხვა. გამომგონებელი ამტკიცებს, რომ პროდუქტი შეიცავს ყველა ცილასა და საკვებ ნივთიერებას, რაც ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია. სასმელის დღიური ულუფა კი 10 დოლარამდე დაჯდება.

# სარეცხ მანქანას ძაღლის ყეფა სჭირდება

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელმა ბრიტანულმა კომპანიამ სარეცხი მანქანა გამოუშვა, რომელიც ძაღლის ყეფით ირთვება. ეს, რასაკვირველია, შინაური ცხოველის გასართობად არ გაუკეთებიათ — სიახლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვისაა. ცნობილია, რომ სათანადოდ გაწვრთნილი ძაღლები, პატრონის ნაცვლად, მრავალნაირ სამუშაოს ასრულებენ — ლოგინს ალაგებენ და სარეცხს მანქანაში ათავსებენ, თუმცა ამ დრომდე კარის გაღება და ჩართვა არ შეეძლოთ, ახალი, JTM Service-ის სარეცხი მანქანა კი სპეციალური პედლითაა აღჭურვილი, რომლის კარიც მაშინვე იღება, როგორც კი ცხოველი სპეციალურ სამაჯურს მოქაჩავს — ასე სარეცხი ფხვნილიც იყრება და მანქანის ასამუშავებლად მხოლოდ ძაღლის ყეფაა საჭირო.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 4 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 2 | 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 5 | 9 | 7 | 6 | 3 | 8 | 4 | 2 |
| 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 |
| 4 | 6 | 8 | 3 | 2 | 7 | 5 | 9 | 1 |
| 9 | 7 | 5 | 1 | 4 | 6 | 2 | 3 | 8 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 1 | 6 | 2 | 4 |
| 6 | 1 | 2 | 4 | 7 | 8 | 9 | 5 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 4 | 1 | 7 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 2 | 9 | 1 | 5 | 6 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 7 | 6 | 8 | 9 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 6 | 1 | 7 | 9 |
| 1 | 2 | 9 | 7 | 3 | 5 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 4 | 1 | 9 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 1 | 2 | 3 | 9 | 7 | 4 | 8 | 5 |
| 9 | 3 | 5 | 6 | 8 | 4 | 2 | 1 | 7 |
| 4 | 8 | 7 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 5 | 7 | 6 | 9 | 8 |
| 1 | 8 | 6 | 3 | 2 | 9 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 4 | 1 | 2 | 8 | 5 | 9 | 7 | 3 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 3 | 4 | 1 | 5 |
| 7 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 | 2 | 8 | 6 |
| 3 | 1 | 5 | 4 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 8 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 |
| 2 | 6 | 9 | 5 | 7 | 1 | 8 | 3 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 |
| 3 | 2 | 9 | 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 9 | 8 | 3 |
| 4 | 9 | 3 | 7 | 2 | 8 | 1 | 6 | 5 |
| 2 | 6 | 1 | 3 | 5 | 4 | 8 | 7 | 9 |
| 8 | 5 | 7 | 1 | 9 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 7 | 4 | 6 | 2 | 8 | 5 | 3 | 9 | 1 |
| 9 | 3 | 2 | 6 | 7 | 1 | 5 | 4 | 8 |
| 5 | 1 | 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 2 | 6 |

მე-12 გვერდი: 1. ჟენშენი; 2. კალორია; 3. ჟიპიტაური; 4. ნერუ; 5. ეპატაჟი; 6. იდიომი; 7. კლაუსი; 8. ლიანგი; 9. რუალ; 10. ნეფრიტი; 11. სპარტაკი; 12. ატა; 13. უემბლი; 14. მიაუ; 15. მარაკანა; 16. ასტრონომია; 17. ლენ; 18. ნეი; 19. აგასი; 20. ნალა; 21. ურემია; 22. ჟენია; 23. ისიდორე; 24. ლებარდე; 25. იდილია; 26. ელო; 27. ორისაბა; 28. სტოპერი; 29. ბიურო; 30. ლოსიონი; 31. ბოკალი. 32. რეპი; 33. „დაიჰაცუ"; 34. ჩოხა; 35. ნაირა; 36. ბმო; 37. დოლარი; 38. ალიბი; 39. ბიგ; 40. გურია; 41. სოკერი; 42. ჰერა; 43. იპონი; 44. ჩინარი; 45. ალბა; 46. ოსი; 47. ლეო; 48. პაულო; 49. პაპიდა; 50. სოლ; 51. ლივ; 52. ალლო; 53. ლი; 54. ციციანოვი; 55. ალამი; 56. რეალია; 57. ცდო; 58. შოუ; 59. იაპუ; 60. „ბარამბო"; 61. რაში; 62. სირ; 63. რაე; 64. ჰა; 65. აკვა; 66. ბობი.



1. პრემიერ-მინისტრი გერმანიაში
2. გადამდები დაავ. მუდმივი არსებობა ერთ ადგილ.
3. დიაოხის მეფე
4. მოკლე დისტანციაზე მორბენალი სპორტსმენი
5. უხეშოდ დაკვრა ვიოლინოზე
6. მწკრივში სიმაღლის მიხედვით დაწყობა
7. ტკივილის გავრცელება სხეულში
8. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
9. მსახიობი აიშვარია ...
10. მუზების საცხოვრებელი მთა
11. ადამიანის პარაზიტი მწერი
12. ოფიციანტი გერმანიაში
13. პროფილაქტიკური სამედიცინო ღონისძიება
14. ამაზონის დელფინი
15. ქალის ღია საშუბლე გვირგვინი
16. დიდი ქეიფი, წვეულება
17. თავთავიან კულტურათა ნათესი
18. მეხიკოს საფეხბურთო სტადიონი
19. მწერალი ... ზოლა
20. ინდოელთა წმინდა მდინარე
21. პერუში მცხოვრები ინდიელი
22. მთა კრეტაზე
23. გალილეო ...
24. სარჩიმელიას სახელი
25. მოსამართლე მუსლიმანებში
26. ნიგერიის ფულის ერთეული
27. სიმებიანი მუსიკალ. საკრავი
28. შვიდეულის აღმნიშვნელი ძვ. ქართ.
29. ქართლის „გული“
30. რისამე სრულყოფის განსახიერება
31. თვითმფრინავების სადგომი
32. გოლიათი მონადირე ბერძნულ მითოლოგ.
33. იგივეა, რაც ცვარი
34. ენგელსის მეგობარი და „კოლეგა“
35. იაპონური ალუბალი
36. ვულკანი სიცილიაზე
37. საგნის დასამაგრებელი მარწუხი
38. ანტილოპას სახეობა
39. ცისფერი ნილოსი ეთიოპიაში
40. ხეკაკუნა ფრინველი
41. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი
42. ძვ. ებრაელი წინასწარმეტყველი
43. სამოას დედაქალაქი
44. ხისძირიანი ფეხსაცმელი
45. ალ. დიუმას რომანი
46. აღმოსავლური ხორციანი კერძი
47. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
48. წარსულში ცნობილი იაპონური ელექტროტექნიკური ფირმა
49. იაპონური ავტომარკა
50. ტრამვაის „წინაპარი“
51. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი
52. ჯუჯა ხეების გამოყვანის ხელოვნება
53. ცნობილი რუსი ჰოკეისტი
54. დაკოდილი ცხენი
55. მტაცებელი ფრინველი
56. ძველრომაელი მხედართმთავარი
57. გამადიდებელი შუშა
58. მატონიზირებელი სასმელი
59. საქონლის შესაფუთი ჭურჭელი
60. მუსიკალ. გამის III ნოტი
61. ხუროთმოძღვრული ძეგლი ტაოში
62. ერთ-ერთი ფერი
63. ალეგ. მოთხრობა
64. ფუჭი, უშედეგო
65. ერთცხენიანი საქირაო ეტლი ინგლისში
66. კაბარეში პოპულარული ცეკვა





გთხოვთ დარეკოთ




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გიხდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მეღიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.